ახალი განათლება

25-31.01.2018

№2 (796) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

G-PriEd-ის წარმატებული პროგრამა – ბიზნესის უნარ-ჩვევები დაწყებით განათლებაში

G-PRIED Georgia Primary Education Project საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

„მილნევები მახთლაც შთამბეჭდავია. ჰოოგჰამა ანყობილია და მისი მთავარი კომპონენტებია – მენარმეობა, ფინანსური წიგნიერება, დასაქმებისთვის მზაობა. თუ ამ უნარ-ჩვევებს ადრიდანვე შეიძენენ მოსწავლეები, მომავალში გაცილებით უფრო წარმატებულები იქნებიან.“ – ნიკა ჩაჩხიანი

გვერდი 2

დამტკიცდა სტანდარტი პედაგოგის განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად

300-კრედიტიანი ოთხსაფეხურიანი ჰოოგჰამა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლის მომზადების პირველი მცდელობაა ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში. 5-წლიანი ჰოოგჰამის ბაკალავრიატი მაგისტრის ხარისხს მიიღებს და სკოლაში უფროსი მასწავლებლის პოზიციას დაიკავებს.

გვერდი 4

სოფელ ჯუმუხლოში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სომხურენოვანი სკოლა გაიხსნა

არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგთა საყურადღებოდ

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული ზრდისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ პედაგოგთა დასახმარებლად, ვიწყებთ ბილინგვური (ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხური) მასალის გეჭდვას პროფესიულ უნარებში. „მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით“ დაეხმარება არაქართულენოვან პედაგოგებს პროფესიული უნარების კომპეტენციის ქართულ ენაზე დადასტურებაში.

მასალა მომზადდა ასოციაცია „ზეკართან“ თანამშრომლობით და ითარგმნა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

კონფერენცია

G-PriEd-ის წარმატებული პროგრამა – ბიზნესის უნარ-ჩვევები დაწყებით განათლებაში

მაკა ყიფიანი

18 იანვარს, თბილისში, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ პავილიონში, შედგა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) – ბიზნესის უნარ-ჩვევების პროგრამის დასკვნითი კონფერენცია. მისი მიზანი იყო დამსწრე საზოგადოებისთვის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ანგარიშის წარდგენა. მომხსენებლებმა ბიზნესის უნარ-ჩვევების გაკვეთილების ჩატარების შედეგად, 2015-2018 სასწავლო წლებში, მიღწეული შედეგები მიმოიხილეს და მადლიერება გამოხატეს პროექტში ჩართული თითოეული სკოლის დირექტორის, მასწავლებლის, მოსწავლის, ასევე კერძო სექტორის მოხალისეების მიმართ, რომლებიც უსასყიდლოდ უძღვებოდნენ გაკვეთილებს და მოზარდებს პროფესიულ გამოცდილებას უზიარებდნენ.

ბიზნესის უნარ-ჩვევების დაწყებითი განათლების პროგრამის ქართული ვერსია მომზადდა „ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს“ მიერ, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში, რომლის მიზანია საქართველოში, დაწყებით კლასებში, კითხვის, მათემატიკისა და ბიზნესის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. ბიზნესის უნარ-ჩვევების მე-6 კლასის პროგრამა „ჩვენი ქვეყანა“ ინტეგრირებულია STEM-ის (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია და მათემატიკა) უნარების სწავლებასთან.

2015-2016 სასწავლო წელს, „ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველომ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და G-PriEd-მა ურთიერთთანამშრომლობით (პროგრამები თარგმნილია და სკოლებში შეტანილია G-PriEd -ის მიერ, ჯუნიორის მხარდაჭერით) საქართველოს მასშტაბით, 39 საპილოტე სკოლაში დაწყებითი კლასების მოსწავლეებს მეწარმეობის, დასაქმებისთვის მზაობის და ფინანსური წიგნიერების საფუძვლები შეასწავლა. V-VI კლასების დონეზე, პროექტში ჩართული იყვნენ ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნესის წარმომადგენლები.

ნიკა ჩაჩხიანი, G-PriEd-ის პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე, ბიზნესის უნარ-ჩვევების პროგრამის ხელმძღვანელი: *„პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც მონაწილეობდა პროგრამაში „ბიზნესის უნარ-ჩვევები დაწყებით განათლებაში – საქართველოში“. ჩემთვის და ჩვენი გუნდისთვის ძალიან დიდი პატივია, რომ წლად გვხვდა მეტად მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, სახალისო პროგრამის განხორციელება. პროგრამა – ბიზნეს უნარ-ჩვევები დაწყებით განათლებაში – 2015 წელს დავიწყეთ, „ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოსთან“ (JA Georgia) ერთად. ეს ორგანიზაცია – Junior Achievement – მსოფლიოში უდიდესი საგანმანათლებლო, ბიზნეს-ეკონომიკური ცოდნის გამავრცელებელი, ყველაზე ძლიერი ორგანიზაციაა, რომელიც, თითქმის, ასწლიან ისტორიას ითვლის. პროგრამა მოსწავლეებს უნიკალურ საგანმანათლებლო გამოცდილებას სთავაზობს, რათა უკეთ შეიმეცნონ ბიზნესის სამყარო, რომელშიც მათ სკოლის დასრულების შემდეგ ელით ჩართვა. საპილოტე შედეგები იმდენად კარგია, რომ პროგრამა გაგრძელდა და მომდევნო ეტაპზე, 61 საჯარო და კერძო სკოლაში შევედით. პროგრამაში ჩაერთო 23 000 მოსწავლე, 1 200 მასწავლებელი (დამრიგებელი), 50 კომპანია და 204 მოხალისე; დამრიგებლებმა და მოხალისეებმა, სკოლებში გაკვეთილების ჩატარებამდე, გაიარეს ინტენსიური ტრენინგი ბიზნესის უნარ-ჩვევების პროგრამების მიწოდებაზე.*

დღევანდელი კონფერენცია პროგრამის – ბიზნესის უნარ-ჩვევები დაწყებით განათლებაში კომპონენტის დახურვას ეძღვნება. G-PriEd საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები, გვინდა, გავუზიაროთ სკოლის დირექტორებს, USAID-ის წარმომადგენლებს, კერძო სექტორის მოხალისეებს. მიღწევები მართლაც შთამბეჭდავია. პროგრამა აწყობილია და მისი მთავარი კომპონენტებია – მეწარმეობა, ფინანსური წიგნიერება, დასაქმებისთვის მზაობა. თუ ამ უნარ-ჩვევებს ადრიდანვე შეიძენენ მოსწავლეები, მომავალში გაცილებით უფრო წარმატებულები იქნებიან. იმისთვის, რომ პროგრამა კიდევ უფრო საინტერესო და სახალისო გაგვეხადა, ვმუშაობდით დამატებით პროდუქტებზე, შევქმენით ანიმაციური ფილმები, ვატარებდით კონკურსებს. ერთ-ერთი ასეთი კონკურსი იყო „როგორია შენი ბიზნესიდეა?“, V-VI კლასელებისთვის. შარშანდელ კონკურსში გაიმარჯვეს რუსთავის მე-4 საჯარო სკოლის მე-5Დ კლასის (ამჟამად მე-6Დ კლასი) მოსწავლეებმა, რომლებიც დღევანდელ კონფერენციაში მონაწილეობენ და გამარჯვებული იდეის – „ჭკვიანი ჩანთა“ – პრეზენტაციას მოაწყობენ.

სამწუხაროდ, პროექტი დასასრულს უახლოვდება. რადგან ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროგრამის მდგრადობა და გაგრძელება პროექტის მიღმა, USAID-ის მხარდაჭერით, JA Georgia-სთან ერთად, სამი დამოუკიდებელი ცენტრი გავხსენით – თბილისში, ლაგოდეხში, ზუგდიდში, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ, დარეგისტრირდნენ და ჩვენ მიერ თარგმნილი და ადაპტირებული ნებისმიერი პროგრამა გაიარონ. იმედი გვაქვს, მომავალში, ცენტრების რაოდენობა გაიზრდება“.

მამუკა ხამხაძე, რუსთავის მე-4 საჯარო სკოლის დირექტორი: *„ბიზნესის უნარ-ჩვევების“ პროგრამაში ჩვენი სკოლის V-VI კლასების მოსწავლეები* ***(ლუკა თვალიაშვილი, გიორგი ვაზაგაშვილი, ნინი ჯეებაშვილი, ანამარია გაბელია, თაკო ჩადუნელი, საბა ლობჟანიძე, დათო გუმაშვილი, გიორგი მუმლაძე, მარი გოძიაშვილი, თაზო წიკლაშვილი, რეზი სხილაძე, ოთო კაციაშვილი, ნინი მოსიაშვილი, ვატო მოსიაშვილი, ლუკა ტალახაძე და ნატა ბუაჩიძე)****, კლასის დამრიგებლის,* ***ინგა ფერაძის*** *ხელმძღვანელობით, აქტიურად ჩაერთვნენ და გასულ სასწავლო წელს გამოცხადებულ კონკურსში „როგორია შენი ბიზნესიდეა?“ ჩამოაყალიბეს გუნდი „სტარტაპერი“. გაუჩნდათ იდეა, კაპიტალური, ბუნებრივი და ადამიანური რესურსების გამოყენებით, „ჭკვიანი ჩანთის“ შექმნის, რომელმაც რამდენიმე ათეულ პროექტს შორის გაიმარჯვა. მოხარული ვარ, რომ ჩვენს სკოლას მიეცა საშუალება, პროგრამაში ჩართვით, წარმატებისთვის მიეღწია“.*

გიორგი თვალიაშვილი, რუსთავის მე-4 საჯარო სკოლის VIᲓ კლასის მოსწავლის მშობელი: *„პროგრამაში, ჩემ შვილთან და მის თანაკლასელებთან ერთად, აქტიურად ჩავერთე. დიდი შრომისა და ფიქრის შედეგად, მოსწავლეებმა, თავიანთი პრობლემებიდან გამომდინარე, მოიფიქრეს განსხვავებული, ინოვაციური და კრეატიული ბიზნესიდეა – მრავალფუნქციური „ჭკვიანი ჩანთა“. ამ ჩანთის შექმნა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, კერძოდ, იმ პრობლემებმა, რომელიც ყველა მოსწავლეს აწუხებს. ეს არის წონის კონტროლი, სასმელი წყალი, უსაფრთხოება, გაკვეთილების ელექტრონული ცხრილი, შუქამრეკლები, საწვიმარი. მოხარული ვარ, რომ ჩვენი სკოლა გამარჯვებული გახდა. აღნიშნული პროგრამა ბავშვებს შანსს აძლევს, ბიზნესის უნარ-ჩვევები და ფინანსური განათლება პატარა ასაკიდანვე გამოიმუშაონ. გამომდინარე აქედან, იმ შეცდომებისა და იმედგაცრუებების ალბათობა, რომლებიც დღეს ხშირად გვხვდება, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი“.*

ნინი ჯეებაშვილი, მე-4 საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე: *„ძალიან მახარებს, მეგობრებთან ერთად, პროექტში მონაწილეობა. ბავშვის განვითარებისთვის მრავალი ფაქტორი არსებობს, უმნიშვნელოვანესია სწავლა, თუმცა მუდმივად უნდა ვიზრუნოთ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე. ბიზნესიდეის ჩამოყალიბებისას, მე და ჩემმა თანაკლასელებმა ბევრ გამოწვევაზე ვისაუბრეთ, მათგან 6 ძირითადი პრობლემა შევარჩიეთ, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ჩვენი ბიზნესიდეის ჩამოყალიბებაში. მათ მოგვარებას „ჭკვიანი ჩანთის“ მეშვეობით შევეცდებით. მომავალში ჩვენი იდეის რეალიზების დიდი იმედი გვაქვს“.*

ინდირა ამირანაშვილი, G-PriEd-ის პროექტის ხელმძღვანელი: *„ბიზნესის უნარ-ჩვევების პროგრამა, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. პროგრამაში მონაწილეობით მოსწავლეებმა შეძლეს ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების გამომუშავება, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, პრობლემების გადაჭრა, კომუნიკაცია, ლიდერობა, გადაწყვეტილების მიღება, გუნდური მუშაობა, არჩევანის სწორად გაკეთება და სხვ. ადრეულ ასაკშივე ასეთი მნიშვნელოვანი უნარების გამომუშავებით მოსწავლეები უკეთ მოემზადებიან სამომავლო განათლებისა და სამუშაო გარემოსთვის. ბიზნესის უნარ-ჩვევების პროგრამის ძირითადი მიმართულებებია: დასაქმებისთვის მზაობა, ფინანსური წიგნიერება და მეწარმეობა.*

პროგრამის ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო კერძო სექტორის ჩართულობა, რაც წარმატებული აღმოჩნდა. მსგავსი პროექტი საქართველოში პირველად განხორციელდა. ჩვენი მიზანია, პროგრამა მომავალში, პროექტის დასრულების შემდეგაც გაგრძელდეს“.

ლია გიგაური, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„ჩვენი ვალია, შევქმნათ ისეთი საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც მართლაც მისცემს მოსწავლეებს იმ უნარ-ჩვევებს, ცოდნას, განწყობებს, დამოკიდებულებებს, ღირებულებებს, რაც მათ, მომავალში, ოცნებების ახდენაში დაეხმარება, რომ იყვნენ რეალიზებული და აქტიური მოქალაქეები. ქვეყნის გაძლიერებაზე სახელმწიფო პოლიტიკა საგანმანათლებლო სისტემის შედეგებს ეყრდნობა. ამ ორმხრივ პროცესში განათლების სისტემა გადამწყვეტი როლის მატარებელია. ამ კუთხით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია საქმიანი უნარ-ჩვევების განვითარება. თუ რაიმეს დეფიციტი გვაქვს, თუნდაც საუკეთესო განათლების პროცესში, ეს არის სწორი ხედვა, დაგეგმარება, გადაწყვეტილების სწორად მიღება და მის განხორციელებაზე პასუხისმგებლობის აღება. ამ პროგრამის მთელი ღირსება ის არის, რომ მოსწავლეებს პატარა ასაკიდან უვითარებს (ასაკის შესაბამისად) აუცილებელ უნარებს, ქმნის იმ საფუძველს, რომელსაც მათი მომავალი განვითარება დაეყრდნობა.*

ჩვენი სურვილია, პროექტი სხვა კლასებშიც გაგრძელდეს, განვითარდეს, დაიხვეწოს, ასაკთან უფრო შესაბამისი გახდეს და, რაც მთავარია, ეს იყოს უწყვეტი განათლება. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, მშობლებთან მუშაობა, რაშიც USAID-ის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. იმედია, თანამშრომლობა გაგრძელდება, სისტემური, თანამიმდევრული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდება, რათა მოსწავლეებს ხელი შევუწყოთ XXI საუკუნის შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უნიკალურ თანამშრომლობას ბიზნესთან, რისთვისაც მადლობას ვუხდი თითოეულ კომპანიას, მაქსიმალურად რომ დაეხმარნენ მოსწავლეებს უნარ-ჩვევების განვითარებაში. პროექტმა იმაზე მეტი შედეგი მოიტანა, რისი მოლოდინიც გვქონდა.

იმედი გვაქვს, მომავალში, პროექტი სხვა სკოლებშიც გაგრძელდება და ანალოგიური პროგრამები სხვა კლასებშიც დაინერგება. ეს პროექტი ძალიან წარმატებული იყო, წარმატებულ პროექტებს კი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან ყოველთვის მხარდაჭერა ექნება“.

კონფერენცია

თამაზ დაუშვილი, კომპანია „დიოს“ დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი: *„პროექტში მონაწილეობას უყოყმანოდ დავთანხმდი. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ბავშვები, მეორე ის, რომ ბავშვები ჩვენი მომავალია და მათი განათლება გადამწყვეტია ქვეყნის კეთილდღეობისთვის. თუ ვერ მოვახერხებთ ჩვენი განათლების სისტემის რეფორმირებას ისე, რომ ხარისხი გაიზარდოს, ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.*

ბიზნესის უნარ-ჩვევები დაწყებით განათლებაში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თავიდანვე უვითარებს ბავშვს მიზანდასახულობის, პასუხისმგებლობის, ლიდერობის, ამოცანის გადაწყვეტის, ალტერნატივების ძიების უნარს. მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ადამიანს, ვინც ჩვენთან ერთად მუშაობდა პროექტში და მოვუწოდო თითოეულ ბიზნესმენს, აქტიურად ჩაერთონ ამ პროგრამაში. ჩვენ მომავალშიც სიამოვნებით ვითანამშრომლებთ მსგავსი ტიპის პროექტებთან, რადგან კარგად გვესმის, საქართველოს მომავალი სწორად აღზრდილ, ხარისხიანი განათლების მქონე თაობაზეა დამოკიდებული“.

ლია ფუტკარაძე, 133-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„ჩვენ წარმოვადგენთ ჯიპრაიდულ სკოლას, სტატუსი დამსახურებულად მოვიპოვეთ და ეს სახელი ჩვენს სავიზიტო ბარათად იქცა. სკოლა, ჯერ კიდევ საპილოტე ეტაპიდან, 2013 წლიდან, ჩართულია საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტში. მოგეხსენებათ, პროექტის მთავარი ორიენტირია კითხვითი უნარებისა და მათემატიკური აზროვნების განვითარება დაწყებითი კლასების მოსწავლეებში და პარტნიორი სკოლებისთვის დახმარება პოზიტიური, ინოვაციური, მოსწავლეზე ორიენტირებული, მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შექმნაში. ჩვენმა სკოლამ ეს შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოიყენა, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. აქტიურად დავნერგეთ სასწავლო პროცესში G-PriEd-ის პროფესიონალური გუნდის მიერ მოწოდებული ყველა რეკომენდაცია, ინოვაციური მეთოდი თუ სწავლების სტრატეგია, ასევე აქტიურად დავნერგეთ მათ მიერ შექმნილი და მოწოდებული საინტერესო და, ამავდროულად, სახალისო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, მაქსიმალურად გამოვიყენეთ აქტივობის ბარათები მშობელთა გასააქტიურებლად და მინდა გითხრათ, რომ ეს ყველაფერი მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებაზე აისახა.*

სკოლისადმი ინტერესი განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც G-PriEd-ის პროფესიონალურ გუნდთან თანამშრომლობა, ბიზნესის უნარ-ჩვევების პროგრამის ფარგლებში, გავაგრძელეთ (ბოლო სამი წლის განმავლობაში 600-ით მეტი მოსწავლე მივიღეთ). პროგრამა განსაკუთრებით მოეწონათ მოსწავლეებს და მათ მშობლებს. სკოლის ყველა რგოლი მიიჩნევს, რომ ეს G-PriEd-ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ეფექტური პროექტია. მასწავლებლებმა შეიძინეს ძალიან კარგი გამოცდილება და საჭირო რესურსები ბავშვებისათვის XXI საუკუნის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების გადასაცემად, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ G-PriEd-ის პროგრამაში ჩართული ექვსი წლის ასაკის მოსწავლეები უკვე ანსხვავებენ ერთმანეთისაგან სურვილსა და საჭიროებებს, 10 წლის მოსწავლეებმა იციან, რა არის რესურსი, დანახარჯი, ხარჯი, მიწოდების ჯაჭვი და ა.შ. ჩვენი მოსწავლეების მიერ შექმნილი ვირტუალური ბიზნესები, ბიზნესიდეები, მათ მიერ შექმნილი რეკლამები, შესწავლილი ეკონომიკური ტერმინოლოგია და ბევრი სხვა რამ იმის თქმის საფუძველს მაძლევს, რომ მათ, მინიმუმ, ფიქრი მაინც დაიწყეს მეწარმეობაზე. ეს არის მომავლის პროექტი.

დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და G-PriEd-ის პროფესიონალური გუნდის მიმართ, რომლებმაც პროექტში ჩართვის საშუალება მოგვცეს. განსაკუთრებული მადლობა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს, ჩვენი სკოლის თითოეულ პედაგოგს. იმედი მაქვს, პროექტი მომავალშიც გაგრძელდება და მასშტაბურ ხასიათს მიიღებს, რათა მოგვეცეს საშუალება, საჭირო უნარებით აღჭურვილი უფრო მეტი ახალგაზრდა აღვზარდოთ, რომლებიც დამოუკიდებლები, კონკურენტუნარიანები იქნებიან და შეეძლებათ ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკის წინსვლასა და განვითარებაში“.

გიორგი ბურდული, „ჯორჯიან პროგრეს გრუპი“: *„მე და ჩემი კომპანია 2 წელია ჩართული ვართ ამ მართლაც უნიკალურ პროექტში. მასში ჩართულ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, უკეთეს საქართველოში იცხოვრონ, დასაქმდნენ, მიიღონ საჭირო უნარ-ჩვევები იმისთვის, რომ ჰქონდეთ საკუთარი კომპანიები, ბიზნესები და ინოვაციური იდეები განახორციელონ მომავალ საქართველოში.*

რაც შეეხება მოხალისე მასწავლებლობას, პირადად მე, როგორც პიროვნება, როგორც ადამიანი, პროფესიონალი ძალიან გავიზარდე პროექტში მონაწილეობით, სულ სხვა კუთხით დავინახე ჩემი თავი და საზოგადოება, დავინახე რამდენად მოტივირებულები არიან მოსწავლეები, რამდენად სწყურიათ ახალი ინოვაციური მიდგომები. ასევე, გამოვცადე საკუთარი თავი მასწავლებლის ამპლუაში და მივხვდი, რომ VI-კლასელების ყურადღების მიქცევა უფრო რთულია, ვიდრე 30 წლის მაგისტრანტების. მადლობა ამ პროგრამის დამფუძნებლებს, ჩემს კოლეგა მოხალისე მასწავლებლებს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მოსწავლეებთან საოცრად პოზიტიური კომუნიკაცია, ჩვენი მეგობრობა დღემდე გრძელდება“.

კონფერენციაზე, მომხსენებელთა შორის, იყვნენ საქართველოში USAID-ის მისიის დირექტორის მოადგილე **ტომას მორისი**, „ჯუნიორ ეჩივმენტ“ ევროპის აღმასრულებელი დირექტორი **კაროლაინ ჯენერი**, ასევე G-PriEd-ის, კერძო სექტორის, საჯარო და კერძო სკოლების წარმომადგენლები, რომლებმაც პროგრამის მნიშვნელობაზე, საერთაშორისო გამოცდილებაზე, მიღწეულ შედეგებსა და სამომავლო გეგემებზე ისაუბრეს.

კონფერენციის დასასრულს, ანიმაციური ფილმის „ბავშვები ჩვენი ქუჩიდან“ საპრემიერო ჩვენება გაიმართა.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

სამართლის ფაკულტეტი

საჯარო სამართლის კათედრა

⇨ 1 ასოცირებული პროფესორი

⇨ 1 ასისტენტ პროფესორი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა

⇨ 2 ასისტენტი

საბუთების მიღება იწარმოებს:
2018 წლის 27 თებერვლიდან 2018 წლის 9 მარტის ჩათვლით,
ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა,
10:00 საათიდან 16:00 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება: 2018 წლის 16 მარტს.

კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგი გამოქვეყნდება 2018 წლის 22 მარტს.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtuni.edu.ge ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე: 2 66 15 12; 2 24 65 91

ახალი ამბები

სოფელ კუმურდოს სკოლის გახსნა

ახალქალაქის სოფელ კუმურდოში, ადგილობრივი სპონსორის დახმარებით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 450 მოსწავლისთვის გათვლილი სომხურენოვანი სკოლა აშენდა.

სკოლა აღჭურვილია ახალი ინვენტარით და თანამედროვე ტექნიკით, ასევე, სტანდარტული ზომის სტადიონით, სარბენი ბილიკით, საცურაო აუზით, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებით.

ლია გიგაური, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„დღეს მეცენატმა სკოლის მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მთელ სოფელს საჩუქრად გადასცა უახლესი სტანდარტების შესაბამისი სასწავლო ინფრასტრუქტურა. ეს შენობა არის ერთ-ერთი გარანტი იმისა, რომ შეიქმნება უსაფრთხო, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასკოლო გარემო, სადაც თითოეულ მოსწავლეს ექნება საშუალება, მიიღოს მაღალი ხარისხის განათლება.“*

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ზრუნავს ეთნიკური უმცირესობების განათლებაზე, მათ ინტეგრაციაზე და ამ მიმართულებით არაერთ პროექტს ახორციელებს.

ახალი საუნივერსიტეტო პროგრამა

დამტკიცდა სტანდარტი პედაგოგის განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად

მომავალი სასწავლო წლიდან პედაგოგის განათლების ახალი საუნივერსიტეტო პროგრამა ამოქმედდება. 300-კრედიტიანი ორსაფეხურიანი პროგრამა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლის მომზადების პირველი მცდელობაა ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში. 5-წლიანი პროგრამის კურსდამთავრებული მაგისტრის ხარისხს მიიღებს და სკოლაში უფროსი მასწავლებლის პოზიციას დაიკავებს.

პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების შექმნაზე საბჭომ მუშაობა დაასრულა და შეიქმნა დოკუმენტი, რომელმაც გარკვეულ სტანდარტში მოაქცია საუნივერსიტეტო 300-კრედიტიანი პროგრამა. დოკუმენტი გახდება საფუძველი იმ უნივერსიტეტებისთვის, რომლებიც გადაწყვეტენ პედაგოგების ახალი საუნივერსიტეტო პროგრამების სააკრედიტაციოდ მომზადებას.

როგორ შეიქმნა დარგობრივი მახასიათებლები, რა ძირითად სიახლეებს სთავაზობს პროგრამა მომავალ მასწავლებლებს და როგორ მოხდება მისი დანერგვა გარდამავალ პერიოდში – ამ თემებზე გვესაუბრებიან **თამარ სანიკიძე**, *განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი,* **თამარ მახარაშვილი**, *განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე და* **მანანა რატიანი**, *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე.*

თამარ სანიკიძე

როგორ შეუწყობს ხელს ცენტრი ახალი პროგრამის დანერგვას

თავდაპირველად მინდა აღვნიშნო რომ 300-კრედიტიანი პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის შექმნას ადმინისტრირება გაუწია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა. იმისათვის რომ კარგი პროდუქტი შეიქმნას, ადმინისტრირების პროცესში, ცენტრი უზრუნველყოფს დარგის სპეციალისტებისა და ყველა საჭირო დაინტერესებული მხარის კოორდინაციას, რაც შრომატევადი და ხანრძლივი პროცესია. დღეს ეს პროდუქტი სახეზე გვაქვს – დარგობრივი მახასიათებელი შეიქმნა. გვქონდა ასევე საშუალება, გაგვეზიარებინა კარგი უცხოური პრაქტიკა, გაგვევლო კონსულტაციები და სამუშაოში ჩაგვერთო საერთაშორისო ექსპერტები. ვიმუშავეთ გაეროს ბავშვთა ფონდთან (იუნისეფთან), დარგობრივი მახასიათებლის შექმნაში, მათი დახმარებით, ჩაერთო საქართველო-ესტონეთის განათლების პროგრამის ექსპერტი. შემდგომი ხელშეწყობა იმაში გამოიხატება, რომ უნდა ვიმუშაოთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, უნივერსიტეტებთან იმისათვის, რომ დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით სწორად ააგონ საგანმანათლებლო პროგრამები. კარგია, რომ შეიქმნა დარგობრივი მახასიათებელი, ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ პროფესია დარეგულირებულია საქართველოს კანონმდებლობით. ამას ხაზს ვუსვამ, რადგან რეგულირებადი პროფესიების ჩამონათვალში პედაგოგიკა ყოველთვის ხვდებოდა, თუმცა, პრაქტიკულად და რეალურად, აბსოლუტურად დაურეგულირებელი იყო. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ პროფესიაში შემოუშვეს ისეთი პირები, რომლებიც მასწავლებლის კვალიფიკაციას ვერ აკმაყოფილებდნენ. მივიღეთ სურათი, სადაც პროფესიული კვალიფიკაციით ან სკოლის ატესტატით დაიწყეს მასწავლებლობა და დღესაც აგრძელებენ. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ მათი გარკვეული ნაწილი უკვე სერტიფიცირებულია. აღარაფერს ვიტყვი პროგრამების შინაარსზე, მათ ხარისხზე და სწავლების ხანგრძლივობაზე. უკეთესი შედეგის მისაღებად, მთელი რიგი სამუშაოების ჩატარება გახდა საჭირო. კანონიც გასწორდა და გარდამავალი ეტაპებიც დაიგეგმა, განისაზღვრა ალტერნატიული გზებიც. ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ პედაგოგების მომზადება დაბრუნდა უნივერსიტეტებში, ხოლო მათი გადამზადება, ტრენინგები და გამოცდები იქნება პროფესიული განვითარების ნაწილი და არა ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების ინსტრუმენტები. ამიტომ, იწყება მნიშვნელოვანი ეტაპი – სექტემბრამდე უნდა მოვასწროთ და ვიმუშაოთ დაწესებულებებთან იმისათვის, რომ მათ სწორად აღიქვან დარგობრივი მახასიათებელი და მასზე მორგებული პროგრამები განავითარონ. ეს არის ჩვენი გამოწვევა, იმიტომ რომ, ცოტა არ იყოს, დროში შეზღუდულები ვართ და გვინდა, კარგად და ხარისხიანად გაკეთდეს ეს ყველაფერი.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების მისაღებად გამოცხადებული პროგრამების ჩამონათვალი გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრს მივაწოდეთ, შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში, გარდამავალი მუხლის სახით, დავუშვით შესაძლებლობა, რომ მასწავლებლის მომზადების ახალი პროგრამები მოგვიანებით დაემატოს გამოცხადებული პროგრამების ნუსხას. ამ პერიოდს იმისათვის გამოვიყენებთ, რომ პროგრამების შემუშავებაში დავეხმაროთ დაწესებულებებს და შემდეგ უკვე პროგრამების აკრედიტაცია განვახორციელოთ ისე, რომ ახალი სასწავლო წლისთვის დაწესებულებებმა შეძლონ ახალ პროგრამაზე მსურველების მიღება. ასეთია ჩვენი ოპტიმისტური გეგმა.

კარგია, რომ, პრაქტიკულად, ყველა უნივერსიტეტი, რომელიც მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს, დარგობრივ საბჭოში იყო ჩართული და მონაწილეობდა დარგობრივი მახასიათებლების შექმნაში. ამიტომ, ვფიქრობთ, პროგრამების შემუშავება არ უნდა გაჭიანურდეს და, ჩვენი ხელშეწყობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები დროულად წარმოადგენენ პროგრამებს აკრედიტაციისათვის.

რამდენი სტუდენტის მიღება შეეძლებათ უნივერსიტეტებს პროგრამაზე, ეს სააკრედიტაციო პროცესის საკითხია, იმიტომ რომ, აკრედიტაციის სტანდარტები, პროგრამის შემუშავებასთან ერთად, იმასაც გულისხმობს, რომ დაწესებულებამ უნდა გვიჩვენოს, რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავს, რატომ და საიდან გამომდინარეობს ეს მოთხოვნა, ანუ მას შრომის ბაზარზე უკვე ნამუშევარი უნდა ჰქონდეს (შრომის ბაზარზე სახელმწიფო, როგორც დამსაქმებელი, თავისთავად მოიაზრება).

მოხდება თუ არა უფასო ფაკულტეტების ჩამონათვალში მასწავლებლის პროფესია

ეს, ალბათ, უფრო სამინისტროს, როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი და განმახორციელებელი უწყების, დონეზე უნდა განისაზღვროს. თუმცა, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, იძლევა ამ მიმართულების დაფინანსების საშუალებას. დაფინანსების სხვადასხვა გზა არსებობს. ვინაიდან მასწავლებლის პროფესია რეგულირებადი მიმართულებაა, აკრედიტაციას აუცილებლად საჭიროებს, ხოლო აკრედიტაციის გავლა ნიშნავს, რომ სტუდენტი ამ პროგრამაზე წაიღებს გრანტს. მოხდება თუ არა ეს პროგრამა უფასო მიმართულებებში, ეს საკითხი, ჩემი აზრით, უნდა განისაზღვროს რეალურად არსებული დეფიციტის შევსების გათვალისწინებით.

ეს პროცესი ყველა მოთამაშისთვის ღიაა. ამიტომ, აკრედიტაციის შედეგად განისაზღვრება ის სასწავლებლები, კერძო თუ სახელმწიფო, რომელთაც ამ პროგრამების განხორციელების უფლება მიეცემათ.

თამარ მახარაშვილი

დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების პროცესი

მასწავლებლის მომზადების 300-კრედიტიანი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებით უდაოდ მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა სწორედ კვალიფიციური პედაგოგია და ეს საკითხი, საბოლოო ჯამში, მომავალი თაობის განათლებას ეხება.

სწორედ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე დავიწყეთ მუშაობა მასწავლებლის მომზადების 300-კრედიტიან დარგობრივ მახასიათებელზე და ამ პროცესში ჩავრთეთ ყველა ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც, საქართველოს მასშტაბით, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს.

პროცესში ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულები როგორც საჯარო, ისე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები. პედაგოგების დამსაქმებლები შრომის ბაზარზე სწორედ სკოლები არიან, შესაბამისად, ისინი ფლობენ ყველაზე სწორ ინფორმაციას, თუ რა მიმართულებით სჭირდება პედაგოგს გაძლიერება. შესაბამისად, სკოლის ხმა ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია. დარგობრივ საბჭოში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან წარმოდგენილები იყვნენ არამხოლოდ სკოლის დირექტორები, არამედ მასწავლებლებიც, რადგან ერთია, თუ როგორ ხედავს სკოლაში მიმდინარე პროცესს ხელმძღვანელი ან მენეჯერი და მეორეა, თავად პედაგოგი როგორ აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს და საჭიროებებს.

დარგობრივი საჭო 32 წევრისგან შედგებოდა, აქედან 19 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი იყო. რეალურად ყველა ის დაწესებულება, ვინც ახორციელებს მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამას და ზრდის პედაგოგებს, პროცესის მიღმა არ დარჩენილა. გარდა ამისა, პროცესში აქტიურად იყო ჩართული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების დეპარტამენტი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან დარგობრივი საბჭოს მუშაობაში აქტიურად იყო ჩართული ინკლუზიური განათლების სამმართველო.

მოგეხსენებათ, რომ პედაგოგებს მუშაობა უწევთ შშმ და სსსმ მოსწავლეებთან. აქედან გამომდინარე, საკმაოდ ფართო ჭრილში იყო განხილული, თუ რა უნარები და ცოდნა უნდა ჰქონოდა პედაგოგს, რომელიც ამ კატეგორიის მოსწავლეებთან მუშაობს. მასწავლებელთა მომზადების 60-კრედიტიან პროგრამის გარკვეულ ნაწილში ინკლუზიური მიმართულება გათვალისწინებულია, მაგრამ 300-კრედიტიან პროგრამაში მომუშავე ჯგუფმა ამ საკითხს ასე შეხედა: მასწავლებლის მომზადების პროგრამაში კი არ დააწესა კონკრეტული კრედიტი ინკლუზიისთვის, არამედ პროგრამაში მისაღწევი სწავლის თითოეულ შედეგში განსაზღვრა სპეციალური საჭიროების მქონე და შშმ პირებთან მუშაობის სპეციფიკის ცოდნის აუცილებლობა.

ითვალისწინებს თუ არა პროგრამა სპეციალური მასწავლებლის პროფილით მომზადებას

სპეციალური მასწავლებლის მომზადება ცალკე თემაა, მაგალითად, სმენადაქვეითებულ ან უსინათლო ბავშვებთან მუშაობის დროს განსხვავებული კომპეტენციებია საჭირო. როცა 300-კრედიტიან პროგრამაზე ვსაუბრობთ, რომლის გავ-

ახალი საუნივერსიტეტო პროგრამა

ლის შემდეგაც, პირი მაგისტრის კვალიფიკაციას მიიღებს, ვგულისხმობთ, რომ ამ კვალიფიკაციის მქონე პირმა უნდა შეძლოს ისეთ ჯგუფში მუშაობა, სადაც შეიძლება შშმ პირიც იყოს. თუმცა იქ, სადაც ამის საჭიროებაა, სპეციალური მასწავლებლის ცნებაც შემოდის და ამ საკითხზე მუშაობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თავისთავად, სისტემას სპეციალური მასწავლებელი სჭირდება, კონკრეტულ ბავშვის საჭიროებასთან ბმაში, მაგრამ მასწავლებელს, რომელსაც 300-კრედიტიანი პროგრამა აქვს გავლილი და უკვე მაგისტრია, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყველანაირი საჭიროების მქონე ბავშვთან მუშაობა უნდა შეეძლოს.

შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ დარგობრივი მახასიათებლების შექმნა, იყო ის პროცესი, როცა თვეების განმავლობაში, დარგობრივი საბჭოს 33 წევრი აქტიურად მუშაობდა ამ მნიშვნელოვანი პროდუქტის შექმნაზე. პროდუქტის , რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური თემის – მომავალი თაობის აღზრდის მთავარი მონაწილის, მასწავლებელის კვალიფიკაციას ეხება.

დღეს დარგობრივი მახასიათებლების სახით უკვე არსებობს სტანდარტი, რომლის მიხედვითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები შექმნიან პროგრამებს. რეალურად, ეს ის სავალდებულო მინიმუმია, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს პედაგოგის განათლების ახალი საუნივერსიტეტო პროგრამა და ის შედეგები, რომელზეც უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა გაიყვანონ მათ მიერ მომზადებული მასწავლებლები.

დღეს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი იწყებს ტრენინგების ციკლს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, სადაც დაწესებულებები გაივლიან კონსულტაციას და მიიღებენ კომპეტენტურ რეკომენდაციებს ჩვენი ექსპერტებისგან, მასწავლებლის მომზადების 300-კრედიტიანი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის თაობაზე.

მანანა რატიანი

რას მოიცავს 300-კრედიტიანი პროგრამა და რით განსხვავდება არსებული პროგრამებისგან

300-კრედიტიანი პროგრამის ინიციატივა, პირველად, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დოკუმენტზე მუშაობისას წარმოიშვა.

განათლების სისტემაში სიახლეები როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეებზე მომავალ მასწავლებლებს მაღალ მოთხოვნებს უყენებს. მათ უნდა შეძლონ მოსწავლეებს 21-ე საუკუნის კომპეტენციები განუვითარონ, ასევე, მსოფლიოს დღის წესრიგად განისაზღვრა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა, რომლის მე-4 მიზანი სწორედ ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობაა ყველასთვის. დოკუმენტზე მუშაობისას მხედველობაში იქნა მიღებული განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია, ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და სხვ. ეს ყველაფერი კი ამოსავალი წერტილია იმისათვის, თუ რატომ დადგა დღის წესრიგში მასწავლებლის მომზადების პროგრამის შეცვლა.

პირველ რიგში, თვალსაჩინოა კრედიტების რაოდენობის განსხვავება, თუმცა ეს არ არის მხოლოდ დამატებითი კრედიტები. აბიტურიენტი, რომელიც არჩევანს ამ პროგრამაზე გააკეთებს, ხუთი წლის განმავლობაში ისწავლის და, პროგრამის დასრულების შემდეგ, მაგისტრის ხარისხს მოიპოვებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და სხვა მასწავლებლის მომზადების პროგრამებისგან განსხვავებაა ის, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა, გახდეს საგნის, საგნების ან საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი. TALIS-ის კვლევის მიხედვით სისტემაში 50%-ზე მეტი მასწავლებელი არასრული დატვირთვით მუშაობს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გვაქვს საგნები, რომლებშიც დატვირთვა, საკმაოდ მცირეა და სრული განაკვეთის შევსების შესაძლებლობას არ იძლევა. ასევე გვაქვს გავრცელებული პრაქტიკა, როცა მასწავლებელს უწევს რამდენიმე საგნის შეთავსება ისე, რომ სხვა საგანში არ არის კვალიფიციური. ხოლო საგნებისთვის ან საგნობრივი ჯგუფისათვის მომზადებულ კადრს სხვადასხვა საგნის მასწავლებლად შეძლებს დასაქმდეს. ეს მეტად კონკურენტიანს ხდის მას შრომის ბაზარზე. საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც დღეს არის საგანმანათლებლო სისტემაში, მასწავლებლობის ამ ახალ კანდიდატს აღარ ექნება. კურსდამთავრებული სკოლაში მუშაობას უფროსი მასწავლებლის სტატუსით დაიწყებს, რაც უკეთეს ანაზღაურებას (საბაზო ხელფასს ემატება სტატუსის 320 ლარიანი დანამატი) გულისხმობს. ამის შემდეგ ის ჩაერთვება პროფესიული განვითარების სქემაში და კარიერული სწრაფი წინსვლისთვის საკმარისი კომპეტენციები ექნება.

რა სიახლეებს სთავაზობს პროგრამა პედაგოგებს

პირველ რიგში, სიახლეა ის, რომ პრაქტიკის კომპონენტს დიდი წილი აქვს პროგრამაში, რაც იმას გულისხმობს, რომ დაახლოებით, 30 კრედიტამდე გათვლილია პრაქტიკის კომპონენტზე. პრაქტიკის კონპონენტის გარდა მომავალ მასწავლებელს საშუალებას მისცემს სასკოლო ცხოვრების სპეციფიკა გაიაზროს, დამოუკიდებლად ჩაატაროს, რაც ამცირებს, პირველი წლის შემდეგ, პროფესიის დატოვების რისკს. ამავდროულად, პროგრამაში ჩადებულია კვლევის კომპონენტი, რადგან კურსდამთავრებულს მაგისტრის ხარისხი მიენიჭება. ცვლილებებია, ასევე, შინაარსობრივი მიმართულებებითაც. რიგი საკითხები პირველად აისახა დოკუმენტში, ხოლო სხვა საკითხებზე, რომლებიც პრობლემურად და პრიორიტეტულად არის მიჩნეული, მეტი ხაზგასმა მოხდა.

დარგობრივი მახასიათებლების დოკუმენტის სტრუქტურა საკმაოდ მარტივ და გასაგებ ენაზეა აგებული და კომპეტენციის სამი ძირითადი სფეროსაგან შედგება: პოზიტიური გარემოს ფორმირება; სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება; პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ამ სამი კომპონენტიდან პოზიტიური გარემოს ფორმირება იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ სასწავლო პროცესი მხოლოდ სასწავლო მასალის გადაცემით არ შემოიფარგლება. მნიშვნელოვანია, როგორი გარემოა მოსწავლეებისთვის შექმნილი; რამდენად ზრუნავს მასწავლებელი იმაზე, რომ თითოეულ მოსწავლეს ინდივიდუალურად მიუდგეს, დიფერენცირებული სწავლების მეთოდები შესთავაზოს; როგორ არიან ჩართული სასწავლო პროცესში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები; როგორ მართავს მასწავლებელი კლასს და როგორ თანამშრომლობს მოსწავლეებთან; როგორ ახერხებს პედაგოგი კონფლიქტების პრევენციას და როგორ ზრუნავს, ზოგადად, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე. თუკი ეს კომპონენტი არ არის გამართული, ფაქტობრივად, სხვა დანარჩენი მნიშვნელობას კარგავს.

ამის შემდეგ მივდივართ უკვე სასწავლო პროცესების დაგეგმვა/წარმართვასა და შეფასებასთან. აქ კი არაერთი სიახლე შემოდის – მოთხოვნები, რასაც მომავალ მასწავლებელს ვუყენებთ. მაგალითად, მასწავლებელი იყოს სიახლეების მიმღები და რეფლექსიური. რეფლექსიურობა ნიშნავს, რომ აქტივობის ჩატარების შემდეგ, მას უნდა ჰქონდეს საკუთარი პრაქტიკის გაანალიზების საშუალება, რომ შემდგომში კიდევ უფრო გაუმჯობესოს სწავლება. ასევე მნიშვნელოვანია კომპონენტი, რომელიც სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი რესურსების ჩართვა-გამოყენებას გულისხმობს. მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიების მეტად გამოყენებას. ამავდროულად შემოვიდა ცნება „ციფრული მოქალაქეობა“, რაც თანამედროვე ციფრულ სამყაროში უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმებს უწესებს თითოეულ ჩვენგანს. ისეთი სიახლეებიც შემოვიდა, როგორიც მდგრადი განვითარების პრინციპების სწავლებაა, რაც თანამედროვე ცხოვრებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლეებს აუცილებელ ცოდნას მისცემს სოციალურ ჩართულობაზე, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით სფეროებზე, მაღალ სააზროვნო უნარებს და დამოკიდებულებებს განუვითარებს, რაც საბოლოო ჯამში მათ ქცევაში აისახება; დარგობრივ მაჩვენებლებში ხაზგასმულია მრავალფეროვანი სტრატეგიების მნიშვნელობა; ის რომ მასწავლებელმა, უნდა გაითვალისწინოს კულტურული მრავალფეროვნება და დიფერენცირება და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მოსწავლეს თვითრეგულირებადი ქცევა ჩამოუყალიბოს – გახადოს ისეთი, რომ ის იყოს მსწავლელი სიცოცხლის ბოლომდე. რაც მთავარია, დამოუკიდებლად მსწავლელად ჩამოაყალიბოს. მოსწავლე ბავშვობიდანვე უნდა მივაჩვიოთ, რომ ის კონკრეტული საკონტროლოს დასაწერად ან გამოცდის ჩასაბარებლად კი არ სწავლობს, არამედ იმისთვის, რომ პიროვნულად მუდმივად გაიზარდოს. უწყვეტი განათლების პრინციპიც სწორედ ამას მოიაზრებს – მუდმივად ღია იყო სიახლეებისადმი, განიახლო ცოდნა და ა.შ.

გარდა ამ ნაწილისა, სასწავლო პროცესის დაგეგმვა-წარმართვასა და შეფასებაში, დიდი აქცენტი კეთდება შეფასებაზე. შეფასება მხოლოდ იმისთვის არ ხდება, რომ მოსწავლეს ქულა მიენიჭოს, არამედ იმისთვისაც, რომ გაიაზროს სწავლის პროცესი და გააუმჯობესოს შედეგები. ამდენად, შეფასება – მაგალითად, მასწავლებლების მიერ დაწერილი განმავითარებელი კომენტარი – მოსწავლეს უფრო მეტად ანალიტიკურს უნდა ხდიდეს, ის უნდა აანალიზებდეს თუნდაც საკუთარ შეცდომებს ან მიღწევებს. ეს კი, ბევრად მეტ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, განივითაროს კოგნიტური უნარები.

გარდა ამისა, დარგობრივ მახასიათებლებში ცალკე კომპონენტია პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. როცა უწყვეტ განათლებაზე ვსაუბრობთ, მასწავლებელი, პირველ რიგში, უნდა იყოს ადამიანი, რომელიც პროფესიულად მუდმივად ვითარდება. რა თქმა უნდა, პროფესიული განვითარების აუცილებლობა ჩვენი „ნოუჰაუ“ არ არის, ეს ასახულია სხვა დოკუმენტებშიც, მაგალითად, მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში, რომელიც უწესებს მასწავლებელს, რა აქტივობები განახორციელოს და როგორ განვითარდეს პროფესიულად. ამ კომპონენტში მოიაზრება ის, რომ მასწავლებელი უნდა იცნობდეს თანამდროვე ლიტერატურას, სიახლეებს, კვლევებს როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე და ა.შ. ეს ნაწილი კვლევების განხორციელების აუცილებლობასაც მოიცავს – როგორ განახორციელოს მასწავლებელმა პრაქტიკის კვლევა, რა მეთოდებს უნდა ფლობდეს, რომ შეძლოს კვლევის წარმოება.

საბოლოო ჯამში, მომავალი მასწავლებელი იქნება რეფლექსიური, თვითგანვითარებაზე ორიენტირებული მასწავლებელი, რომელიც თავად არის იმ ღირებულებების მატარებელი, რომელიც მნიშვნელოვანია 21-ე საუკუნისათვის, ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ, სოციალურ-ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას და თავადაც ღია იქნება სიახლეებისადმი. 300-კრედიტიანი პროგრამის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი მზად იქნება, მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით დაწესებული მოთხოვნები განუვითაროს და მოამზადოს ცხოვრებისთვის სწრაფად ცვალებად გარემოში.

დარგობრივი მახასიათებლების დოკუმენტი, პირველ რიგში, იმ დაწესებულებებისთვისაა, ვინც მომავალ მასწავლებლებს ამზადებენ. უმაღლესებმა, ამ დოკუმენტზე დაფუძნებით, საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შექმნან, რომლებმაც შემდგომში აკრედიტაცია უნდა გაიარონ. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტებისთვის ეს იქნება დოკუმენტი, რომელსაც ისინი სიცოცხლეს შესძენენ, ამასთანავე, ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტები, რომლებიც ამ პროგრამებს შეამოწმებენ, ხარისხის დამდგენები იქნებიან, რომ დაბალხარისხიანი პროგრამები არ შევთავაზოთ ახალგაზრდებს.

რატომ უნდა დაინტერესდნენ ახალგაზრდები 300-კრედიტიანი პროგრამით

ახალგაზრდებს, რომლებიც პედაგოგის განათლების ახალ საუნივერსიტეტო პროგრამას აირჩევენ და თავიანთ თავს მომავალში მასწავლებლის პროფესიაში ხედავენ, 300-კრედიტიანი პროგრამის გავლა გაცილებით უფრო კონკურენტუნარიანს ხდის, 5 წელიწადში ისინი ხდებიან მაგისტრები და მომავალში, საათობრივი არასრული დატვირთვით მუშაობის საფრთხე არ ემუქრებათ. ასევე, როცა ადამიანი საგნობრივი ჯგუფის და საგნების მასწავლებელი ხდება, პიროვნულად, მისი თვალსაწიერი ბევრად უფრო ფართეა და განვითარების მეტი პერსპექტივა აქვს.

მასწავლებლის პროფესია ერთ-ერთი სწრაფად დაბერებადი პროფესიაა (25% საპენსიო ასაკისაა) და ვაკანსიებიც საკმაოდ ბევრი იქნება იმ დროისთის, როდესაც პროგრამა თავის პირველ კურსდამთავრებულებს გამოუშვებს. აქედან გამომდინარე, თუ ახალგაზრდები არჩევანს 300-კრედიტიანი პროგრამის სასარგებლოდ გააკეთებენ, მომავალში უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილებით – ეს, ალბათ, მნიშვნელოვანი განაცხადი იქნება მათთვის. და ბოლოს, ეს არის ყველაზე საინტერესო, შემოქმედებითი პროფესია, რომელიც ძალიან მაღალ უკუგებას იძლევა.

ახალი საუნივერსიტეტო პროგრამის საგნობრივი მიმართულებები

დარგობრივ მახასიათებლებში უშუალოდ გათვალისწინებული არაა საგნობრივი მიმართულებები. რაც შეეხება საგნობრივ ცოდნას, აქ არის ჩანაწერი, რომ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებით იქნება დარეგულირებული. შესაბამისად, ის იქნება იმის ორიენტირი, თუ რა ცოდნის საფუძველზე უნდა შეადგინოს პროგრამები უნივერსიტეტმა. ამ ეტაპზე არ ვიცით რამდენი უნივერსიტეტი გადაწყვეტს ახალი პროგრამის დანერგვას და რა მიმართულებებს აირჩევს პროგრამებისთვის. ამის შესახებ პროგრამების აკრედიტაციის შემდეგ გვექნება ინფორმაცია. რა თქმა უნდა, ეს უმაღლესებისთვისაც გამოწვევაა, რადგანაც მსგავსი პროგრამები მათ აქამდე არ განუხორციელებიათ.

დარჩება თუ არა მასწავლებლის მომზადების მოქმედი პროგრამები

240-კრედიტიანი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების პროგრამები, რა თქმა უნდა, შეწყვეტს ფუნქციონირებას და აბიტურიენტებს შესაძლებლობა ექნებათ, 300-კრედიტიან პროგრამაზე ჩააბარონ, ხოლო ვინც უკვე სწავლობს 240-კრედიტიან პროგრამებზე, ჩვეულებრივ გააგრძელებენ სწავლას და მიიღებენ შესაბამის ბაკალავრის დიპლომს. ამავდროულად, მათ საშუალება ექნებათ მობილობით გადავიდნენ 300-კრედიტიან პროგრამაზე. რაც შეხება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიან პროგრამებს, ეს განსხვავებული გზაა იმ მსურველებისთვის, რომლებმაც უმაღლესის დასრულების შემდეგ გადაწყვიტეს პროფესიაში შესვლა; საუკეთესო გზაა მათთვის, ვინც სკოლის დამთავრების შემდეგ არ გადაწყვეტს მასწავლებლობას, მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ მოიფიქრებს ამ პროფესიის დაუფლებას. აქედან გამომდინარე, 60-კრედიტიან პროგრამებს საფრთხე არ ელით. ამის თქმის საშუალებას, პროგრამაზე მზარდი მოთხოვნები გვაძლევს. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებმა, ე.წ. მაინორ პროგრამების საშუალებით, პარალელურად, შეძლონ გაიარონ მასწავლებლის მომზადების პროგრამა. თუმცა, 300-კრედიტიანი პროგრამების კურსდამთავრებულებისგან განსხვავებით, ისინი ბაკალავრები იქნებიან და ერთი კონკრეტული საგნის სწავლების უფლება ექნებათ.

მოამზადა ლალი ჯელაძემ

სამოდელო გაკვეთილი

რევაზ ინანიშვილის „ჩიტების გამომზამთრებლის“ მიხედვით

გაკვეთილის გეგმა

თემა: ძალადობა ოჯახში, რევაზ ინანიშვილის „ჩიტების გამომზამთრებლის“ მიხედვით.
პედაგოგი: ნინო გაბულდანი, სსიპ წალენჯიხის რაიონის თ. ფიფიას სახელობის ქ. ჯვარის №2 საჯარო სკოლა.
საგანი – ქართული ლიტერატურა.
სამიზნე ჯგუფი: მე-7 კლასი.
ესგ-ს მისაღწევი მიზანი:

ქართ. VII. 1.
მოსწავლეს შეუძლია უცნობი ინფორმაციის შემცველი ტექსტების მოსმენა და ზეპირი ინფორმაციის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ამოიცნობს მთავარ აზრს მოსმენილი ინფორმაციიდან და დასკვნის სახით წარმოადგენს მას აუდიტორიის წინაშე;
• თანამიმდევრულად გადმოსცემს ნაცნობი ტექსტის შინაარსს/ამბავს პირადი გამოცდილებიდან;
• მოიძიებს ან საგანგებოდ ქმნის და სათანადოდ იყენებს შესაფერის ვიზუალურ მასალას (პლაკატს, სქემას ან სხვა თვალსაჩინოებას).

ქართ. VII. 12. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• წერს სარეკლამო ტექსტს სხვადასხვა აუდიტორიისათვის (მაგალითად, ბავშვებისა და დიდებისათვის);
– სწერს წერილს მეგობარს, წიგნის ავტორს, პერსონაჟს, გამოჩენილ ადამიანს, შესაბამისად ცვლის წერის სტილს.

მედიაწიგნიერება: მედიარესურსების კრიტიკული ანალიზი და შეფასება.

აქტივობა №1 (3წთ.)
მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, რა იციან ოჯახში ძალადობის შესახებ და პასუხებს ჩამოწერს დაფაზე.

აქტივობა №2 (22წთ.)
დავალება: მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, მხატვრული ტექსტის – „ჩიტების გამომზამთრებლის“ მიხედვით შეავსონ ქვემოთ მოცემული სქემა (სქემა წარმოდგენილია სავარაუდო პასუხებითურთ).

მოვლენათა ჯაჭვი:

ტექსტები	მოვლენა №1	მოვლენა №2	მოვლენა №3	მოვლენა №4	შედეგი
„ჩიტების გამომზამთრებელი“	ბინის აღწერა	დედ-მამის კამათი შვილის შესახებ	ბიჭის გამოჩენა ჩიტებთან ერთად და მათ გამოზამთრებაზე მშობლებთან საუბარი	დედის უარყოფითი რეაქცია და მის მიერ ჩიტების დახოცვა	დათრგუნული ბავშვი

აქტივობა №3 (10წთ.)
კლასი იყოფა სამ ჯგუფად და მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სიტყვა **ძალადობის** განმარტებას. სთხოვს მათ, მიღებული ინფორმაცია დაუკავშირონ მოთხრობას „ჩიტების გამომზამთრებელი“ და წარმოადგინონ პრეზენტაციის სახით.
ძალადობა – ძალის აშკარა ან ფარული გამოყენება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისაგან ისეთი რამის მისაღწევად, რაზედაც ისინი თავისი ნებით არ თანხმდებიან. სინონიმებია: აგრესია, სასტიკი მოპყრობა, შეურაცხოფა, იძულება, ხელყოფა, წამება, მუქარა. ძალადობა არის ყოველგვარი ქმედება ან სიტყვა, რომელსაც შეუძლია ადამიანი შეურაცხჰყოს, ზიანი მოუტანოს მას ან შეულახოს კანონით მინიჭებული უფლებები. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება, და თავისუფლება. ესენი კი ადამიანის განუყოფელი უფლებებია.
არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი (ანუ სტრუქტურული) ძალადობა. პირდაპირი ძალადობა ნიშნავს ფიზიკურ ძალადობას, ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების წინასწარგამიზნულ გამოყენებას მიმართულს საკუთარი თავის, სხვა ადამიანის ან საზოგადოების წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც ადგილი აქვს (ან არსებობს ამის დიდი ალბათობა) სიკვდილს, სხეულის დაზიანებას, ფსიქოლოგიურ ტრავმას, ნორმალური განვითარებიდან გადახრას ან სხვადასხვა სახის ზარალს. არაპირდაპირი ძალადობა კი ნიშნავს სიღატაკეს, ექსპლუატაციას, სოციალურ უსამართლობას, დემოკრატიის უქონლობას და ა.შ.
ძალადობა შედგება სამი კომპონენტისგან: მსხვერპლი, დამნაშავე და თვით ქმედება. თავისი ხასიათისა და შედეგების გათვალისწინებით, იგი ხშირად მოიაზრება როგორც კრიმინალი. ძალადობა მოიცავს უკანონო ქმედებათა ყველა სახეს, გამოხატულს მუქარით ან ქმედებით, რომელსაც შედეგად მოჰყვება ქონების დაზიანება ან განადგურება, ანდა პიროვნების შეურაცხყოფა ან სიკვდილი. ძალადობის ყველაზე ფართოდ გამოხატული ფორმაა ძალადობა ოჯახში. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება იყოს ქალი, ბავშვი, ინვალიდი, მოხუცი და, იშვიათად, მამაკაცი. ყველაზე გავრცელებული ფორმაა ქმრის ძალადობა ცოლზე და მშობლების – შვილებზე.
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90

აქტივობა №4 (20წთ.)
მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ფილმს „ზუზუ“ – https://www.youtube.com/watch?v=-FgSyKVSHvQ. შემდეგ ურიგებს მათ სქემას „მოვლენათა ჯაჭვი“ და სთხოვს, შეადარონ ერთმანეთს მოთხრობა „ჩიტების გამომზამთრებელი“ და ფილმი „ზუზუ“.

ფილმი	მოვლენა №1	მოვლენა №2	მოვლენა №3	მოვლენა №4	შედეგი
მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზუზუ“	ლუკას ზაზუნა უკვდება.	ბიჭს სჭირდება ოჯახის წევრების დახმარება, რომ დამარხოს ზაზუნა.	არავინ ეხმარება, ბულინგის მსხვერპლიც კი ხდება, მაგრამ მარტო აგვარებს პრობლემას.	ოჯახის წევრებზე გამწყრალი ლუკა შინ მოსვლას აგვიანებს. დედ-მამა ახლაღა იწყებს შფოთვას.	ლუკა ინდიფერენტული ხდება.

აქტივობა №5 (10წთ.)
მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს აღზრდის სტილზე. ფლიფჩარტზე ჩამოწერს ძირითად პუნქტებს. შემდეგ მოსწავლეები ჯგუფებში მუშაობას აგრძელებენ, მასწავლებელი მათ აწვდის აღზრდის ოთხი სტილის განმარტებას და ავალებს, ეს მასალა მოარგონ მოთხრობა „ჩიტების გამომზამთრებელსა“ და მოკლემეტრაჟიან ფილმ „ზუზუს“. ამავე დროს მოსწავლეებს ევალებათ აირჩიონ მათთვის სასურველი აღზრდის სტილი და დაასაბუთონ – რატომ.
მასალა მოსწავლეებისათვის.

აღზრდის ოთხი სტილი

http://skolebi.com/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D_%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/news/1411120834

სპეციალისტები დიდი ხნის წინ შეთანხმდნენ, რომ ბავშვის აღზრდის ერთიანი რეცეპტი არ არსებობს. თუ ერთი სტილი კონკრეტული ბავშვისა და მშობლებისთვის მისაღებია, იმავე მეთოდს სხვა ოჯახში ვერ დანერგავ, რადგან ზრდასრულების მსგავსად ბავშვებიც უნიკალური ინდივიდები არიან. თუმცა, ამის ფონზე მაინც არსებობს გარკვეული დიფერენცირება, ფსიქოლოგები ოთხ ძირითად სტილს გამოყოფენ: ავტორიტარულს, ავტორიტეტულს, ლიბერალურსა და გულგრილს.

ავტორიტარული
როგორც სახელწოდებიდანაც ხვდებით, ეს არის აღზრდის მკაცრი და ხისტი სტილი. ამ სტილის მიმდევარ მშობლებს ჩამოყალიბებული სადამსჯელო სისტემა აქვთ და მუდამ უპირობო მორჩილებას ითხოვენ. ფიზიკური აგრესია მათთვის უცხო არ არის და, ამავდროულად, დასჯის მიზეზის ახსნისთვისაც არ იწუხებენ თავს. ასეთი მშობლების დევიზია: იმიტომ, რომ მე ასე ვთქვი! და მათ შვილებსაც ყველაზე მეტად სწორედ ეს ფრაზა ესმით. სპეციალისტების გამოკვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ ავტორიტარულ აღზრდის მეთოდს, უმეტესად, დაბალი სოციალური ფენის ოჯახებში იყენებენ, როდესაც მშობლებს ყველაზე მეტად შემოსავლის საკითხი აღელვებთ. ამავე სპეციალისტების დასკვნით დასტურდება, რომ ავტორიტარულ ოჯახებში აღზრდილი ბავშვები უხასიათო, ზედმეტად ჭირვეული და სუსტი ნებისყოფის არიან. ბევრ შემთხვევაში, ეს ბავშვები პასიური აგრესიის გამომხატველ პიროვნებებად ყალიბდებიან.

ავტორიტეტული
აღზრდის ამ სტილს დემოკრატიულსაც უწოდებენ. ის პოზიტიურ განწყობაზე, მხარდაჭერასა და ფიზიკური ძალადობის უარყოფაზეა დაფუძნებული. დემოკრატიული აღზრდის მიმდევარი მშობლები კარგად იცნობენ შვილებს, არ ეზარებათ მათი პრობლემების მოსმენა და მხარდაჭერა, შვილებს დამოუკიდებლად განვითარების საშუალებას აძლევენ. ასეთ ოჯახებში იდილია სუფევს, შვილი ენდობა მშობელს, შესაბამისად, მშობელმა ყოველთვის იცის, როდის უჭირს, რა პრობლემები აქვს და რა მხრივ სჭირდება დახმარება.

ლიბერალური
ლიბერალური აღზრდა საშუალო კლასის ოჯახების სტილად მიიჩნევა. ასეთ ოჯახებში ყველაზე მეტად აფასებენ ბავშვის ავტონომიურობასა და თავისუფლებას, მშობლები კი მხოლოდ მათი ცხოვრების განხილვითა და მცირედი რჩევებით შემოიფარგლებიან. მინიმალურია დასჯის შემთხვევები და არც მკაცრი კანონები მოქმედებს. როგორც წესი, ლიბერალური მშობლების შვილები ბედნიერები, ლაღები და მხიარულები არიან, თუმცა ზოგჯერ თვითკონტროლისა და თვითდაჯერების ხარისხი დაბალი აქვთ.

გულგრილი
ეს ის შემთხვევაა, როდესაც შვილებსა და მშობლებს შორის ემოციური კავშირი მინიმუმამდეა დაყვანილი. გულგრილი მშობლები ნაკლებად ღელავენ არა მხოლოდ შვილების მომავალზე, არამედ იმაზეც, ჭამეს თუ არა სადილი. შესაბამისად, მათგანაც არაფერს ითხოვენ, მთავარია, ბავშვს მინიმალური პირობები ჰქონდეს. ცხადია, მსგავსი დამოკიდებულება შვილებსა და მშობლებს შორის დიდ უფსკრულს წარმოშობს, ისინი კარგავენ კომუნიკაციას, სულიერ კავშირს. ამ მეთოდით აღზრდილი ადამიანები ფსიქოსოციალური პრობლემების მქონე პიროვნებებად ყალიბდებიან, სოციალურად ნაკლებად აქტიურები არიან და განსაკუთრებულ წარმატებასაც ვერ აღწევენ.

აქტივობა №6 (20წთ.)
ისევ გრძელდება ჯგუფური მუშაობა. მოსწავლეებს ევალებათ პლაკატის შექმნა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ და აწყობენ მის პრეზენტაციას.

აქტივობა №7 (5წთ.)
შეფასება
პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

ფასდება აქტივობები	დაბალი	საშუალო	მაღალი
თემის გასაგებად წარმოდგენა	ვერ წარმოადგენს თემას გასაგებად	წარმოადგენს თემას გასაგებად, მაგრამ არაარგუმენტირებულად	წარმოადგენს თემას გასაგებად, ამყარებს არგუმენტებით
ინფორმაციის ფლობის უნარი	ვერ ფლობს საჭირო ინფორმაციას, არ შეუძლია დასაბუთებული მსჯელობა	ფლობს საჭირო ინფორმაციას, მაგრამ არ შეუძლია დასაბუთებული მსჯელობა	ფლობს საჭირო ინფორმაციას, ამყარებს არგუმენტებით და დამაჯერებლად ასაბუთებს

ჯგუფის მუშაობის შეფასების სქემა

კრიტერიუმები	ჯგუფის მუშაობა წარუმატებელია	ჯგუფის მუშაობა დამაკმაყოფილებელია	ჯგუფის მუშაობა წარმატებულია
ჯგუფის წევრების ჩართულობა მუშაობაში	ყველა წევრი არ არის ჩართული მუშაობაში	უმრავლესობა ჩართულია მუშაობაში	ყველა წევრი ჩართულია მუშაობაში
ურთიერთმოსმენისა და აზრის გაზიარების უნარი	კამათობენ, არ უსმენენ ერთმანეთს. არის ხმაური. არ იზიარებენ ერთმანეთის აზრს	ხმაურობენ, ნაკლებად იზიარებენ ერთმანეთის აზრს	უსმენენ ერთმანეთს და იზიარებენ ერთმანეთის აზრს

ნინო გაბულდანი
სსიპ წალენჯიხის რაიონის
თ. ფიფიას სახელობის ქ. ჯვარის №2 საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული წყაროები:
1. რევაზ ინანიშვილი – „ჩიტების გამომზამთრებელი“, „ქართული ენა და ლიტერატურა“, მე-7 კლასი, ავტორი – ვახტანგ როდონაია, 2012წ., გვ.118-122;
2. ძალადობა
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90
3. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზუზუ“
https://www.youtube.com/watch?v=-FgSyKVSHvQ
4. აღზრდის ოთხი სტილი
http://skolebi.com/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D_%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/news/1411120834

საუბრები ლიტერატურაზე

ძველი ქართული მწერლობის სახისმეტყველების ზოგიერთი საკითხი და სოცლიტერატურა

ბიბლიურმა სახისმეტყველებამ, ქართული ლიტერატურის გარიჟრაჟზე, ადრეულ შუა საუკუნეებშივე დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი. ამ პერიოდის ადამიანისთვის მთავარი იყო სულის გადარჩენაზე ზრუნვა, სიკეთის მსახურება, სასუფეველში ადგილის დამკვიდრებისთვის „ღვაწლსა შინა ყოფნა“, რომელიც სიყვარულზე, მოყვასის დახმარებაზე, თანადგომაზე, თვისთა ცოდვათა განცდასა და სხვა მარადიულ ღირებულებებზე იყო დაფუძნებული.

„ბიბლიური წიგნები „საღვთო წიგნად“ ითვლებოდა და, მაშასადამე, მწერლობის ნიმუშადაც უნდა ჩათვლილიყო“ (სირაძე 1975: 161). ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში მწერლის (ჰაგიოგრაფის) მიზანი წმინდანის (ტარიგის, მოწამის...) სახის ჩვენებასთან ერთად მნიშვნელოვანია იმ იდეის თვალსაჩინოება, რომ ბიბლიური ისტორია მეორდება. ჰაგიოგრაფიული ტექსტების პერსონაჟები ებაძებიან გამორჩეულ ბიბლიურ გმირებს (მამამთავრებს, მოციქულებს, თავად უფალს და ა.შ.). *„ადამიანთა ზოგადი იდეალი ფიგურირდება პირველწმინდანთა სახეში“* (სირაძე 1975: 168). აგიოგრაფიაში ბიბლიური იდეალის შესაბამისად ხდება ამა თუ იმ ისტორიული პიროვნების ამაღლება, განღმრთობისა თუ დაცემის გზის ჩვენება.

„ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში მრავალი ესთეტიკური და ფსიქოლოგიური, გნებავთ, ეგზისტენციალური საკითხია დასმული და განხილული. ჰაგიოგრაფიისთვის მნიშვნელოვანია ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს მშვენიერების, ადამიანის ღირსებისა და ხორციელების დამცირების, კოსმოსური წესრიგისა და ისტორიის წესრიგის ჩვენება, ხაზგასმა სასულიერო ლიტერატურისთვის დამახასიათებელი დუმილის, სულის, დროის, სათნოების, ჭეშმარიტების, სიყვარულის, სახისმეტყველების, აზრის, სილამაზის, ნათლის, სიბრძნის, ესთეტიკური კატეგორიებისა“ (ალიბეგაშვილი. 2008: 41-42).

გრიგოლ ხანძთელის განსაკვირვებელი ბრწყინვალების ჩვენებით იკვეთება მისი მსგავსება მოსე წინასწარმეტყველთან. როგორც მოსეს, – სინას მთიდან აღთქმის ფიქალებით ჩამოსულს, – საოცარი, ღვთაებრივი ბრწყინვალების გამო ვერ უსწორებდნენ თვალს, გიორგი მერჩულის მიერ დახატულ გრიგოლ ხანძთელსაც დამაბრმავებელი ნათლის სვეტი ედგა თავზე.

გრიგოლ ხანძთელი სამოელ წინასწარმეტყველსაც ებაძება იმით, რომ დაბადებამდე შესწირა დედამ უფალს. გრიგოლი იშვა ისევე (უფლის მიმართ აღვლენილი ვედრების შედეგად), როგორც უნაყოფო ხანასგან (ანასგან) სამოელი. გრიგოლ ხანძთელის არქეტიპად დანიელ წინასწარმეტყველიცაა მიჩნეული. ქართველი წმინდანი არ არის აყოლილი გემოთმოყვარეობას, ხორცის მოთხოვნილებებს ნაკლებად იკმაყოფილებს. დანიელ წინასწარმეტყველის მსგავსად, ნაყროვანების ცოდვისაგან განდგომილი მუდამ ფიქრობს: *„პური გულის სათქუმელი არა ვჭამო“* (დანიელი. 10:3) (ხანძთელი 2010: 201-316).

მართალ იობს, რომელიც ეშმაკის მეშვეობით გამოიცადა ღვთისაგან და სხვა მრავალ უბედურებასთან ერთად სენიც (ქეცი) შეეყარა, ჰგვანან: კონსტანტინე კახი (ხალიფას ბრძანებით თავი მოჰკვეთეს, სიკვდილის წინ ის მაინც უფალს მადლობდა და ადიდებდა), ექვთიმე ათონელი (სახედრიდან ჩამოვარდნილი სასიკვდილოდ დაშავდა), იოანე ათონელი (ნეკრესის ქარის გამო წლების განმავლობაში ვერ დგებოდა), შუშანიკ დედოფალი (დაუძლურდა, დაწყლულებული სხეული მატლით აევსო). მიუხედავად ასეთი განსაცდელისა, ისინი მართალი იობივით მადლობენ ღმერთს და იციან, რომ ამქვეყნიური ტანჯვის წილ „მუნ“ (საიქიოში) განიხარებენ და მაცხოვრის „მარჯუენით“ დაიმკვიდრებენ ადგილს.

„ნინოს ცხოვრების“ თანახმად, ქართლში მომავალ მოციქულთა სწორს ძილში გამოცხადებულმა კაცმა გადასცა წიგნი, რომელშიც 10 სიტყვა ეწერა ისევე, როგორც ქვის ფიცრებზე (მოსე წინასწარმეტყველთან) იყო ამოკვეთილი ბიბლიური 10 მცნება. ქართული „დეკალოგი“ (deka და logos – „ათი“ და „სიტყვა, მოძღვრება“) შინაარსობრივად სრულიად განსხვავდება მოსეს მცნებებისგან, თუმცა მათ შორის სულიერი კავშირები, ანალოგიები საგულისხმოა. წმ. ნინოს 10 სიტყვის შემცველი წიგნი თავდაპირველად ინახებოდა სვეტიცხოვლის ტაძარში; მოსეს რჯულის დაფები – რჯულის კიდობანში. ეს უკანასკნელი მოსეს კარავში, ე.წ. წმიდათაწმიდაში იყო მოთავსებული. აღსანიშნავია ისიც, რომ „წმიდა წმიდათაი“ ერქვა თავდაპირველად სვეტიცხოვლის ტაძარსაც.

როგორც აღვნიშნეთ, ადრეული შუასაუკუნეების ესთეტიკა გაჯერებული იყო ბიბლიური სახისმეტყველებით. ამ პერიოდის ადამიანისთვის ღვთის რწმენა სიცოცხლესთან, მარადიულობასთან, სიკეთესთან, ყოვლისმომცველ სათნოებასთან იყო გაიგივებული. მათი სულიერი კონსტიტუციის დოგმატი ასეთი იყო: ურწმუნო და ღვთისმგმობელი ადამიანი შესაცოდია, რადგან ის ეშმაკთანაა წილნაყარი. რელიგიის დაცვა, მისთვის თავის გაწირვა სამშობლოს სიყვარულთან და ერთგულებასთან ასოცირდებოდა. ქრისტიანული მწერლობა განადიდებდა რწმენისა და სიწმინდის შემცველ კატეგორიებს: თავმდაბლობას, მოთმინებას, ერთგულებას, უზენაესის უმაღლეს სიყვარულს, მოყვასისათვის თავდადებას.

მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ე.წ. სოცლიტერატურამ მარადიულ ფასეულობებზე უარი თქვა და ის ჩანაცვლდა არაჯანსაღი ღირებულებებით. სააზროვნო სივრციდან ნელ-ნელა გაქრა სიყვარულის, მეგობრობის, თანაგრძნობის, ადამიანობის თემები. ამ პერიოდის მწერლობის თემატიკიდან განიდევნა ფიქრისა და აზროვნებისთვის მნიშვნელოვანი დისკურსები; დეჰუმანისტურმა თემებმა სულიერების ვაკუუმი შექმნეს. საბჭოთა ლიტერატურაშიც, თავისი იდეოლოგიურობის გამო, გაჩნდა არქეტიპებისა და მითოსური სტრუქტურების გამოყენების აუცილებლობა, ოღონდ, ცხადია, მკაფიო ფსევდოთეოლოგიური დანიშნულებით.

ლენინისა და სტალინის ეპოქაში არა მარტო ბელადთა განდიდება ხდებოდა, არამედ ტოპონიმებმაც (გეოგრაფიულმა ადგილებმა) საკრალური დატვირთვა შეიძინეს. მაგ., გორი ბეთლემისებური მისტიკური ნიშნებით დაიტვირთა, რადგან იქ იშვა მშრომელ ხალხთა „მესია“. შეიქმნა და დამუშავდა დადებითი გმირის, პროტაგონისტის, საერთო მოდელი, ხოლო ანტაგონისტის დამღა დაესვა იმას, ვინც პარტიული იდეალების სიკეთეს ვერ ან არ ხედავდა. *„საბჭოთა პოლიტიკური დისკურსის სივრცეში მართლმადიდებლური რწმენა შეცვალა დოგმატიზებულმა მარქსიზმმა, რამაც მესიანური, ესქატოლოგიური რელიგიის ყველა ატრიბუტი შეიძინა“* (კიზირია 2010: 377).

კომუნიზმის ბელადები (ლენინი, სტალინი) პოლიტიკურ ლირიკაში მესიად შეირაცხნენ. მაგალითად, ლენინს და სტალინს ქრისტიანული სახე-სიმბოლოებითაც კი მოიხსენიებდნენ. ხალხს აჯერებდნენ, რომ ისინი იყვნენ მზე, მამა, მხსნელი, კაცობრიობის გადამრჩენელი, გზის მაჩვენებელი, მოწყალე და ყოვლისშემძლე; მათგან გამოითხოვდნენ ლოცვა-კურთხევასაც. ხაზი ჰქონდა გასმული მათ უკვდავობას, მარადიულობას.

კომუნისტური რეჟიმის პირობებში რელიგიური თემა ან ირონიზირებული იყო ან ტოტალურად უგულებელყოფილი. სწორება იყო ცრუ ფასეულობებზე, შესაბამისად, ბიბლიური თუ სახარებისეული სახე-სიმბოლოები იმდროინდელი „იდეალური“ გმირის ცხოვრების გზას არ გასდევდა. იმ პერიოდის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კომუნიზმის მაშენებელ ხალხს „ანათლებდა“: *„კომუნიზმი და რელიგია ერთი მეორის მოწინააღმდეგე იდეებია. კომუნიზმი ნიშნავს განათლებას, რელიგია – სიბნელეს; კომუნიზმი ნიშნავს განთავისუფლებას, რელიგია – დამორჩილებას“* („სპარტაკი“ 1924).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, (1811 წ.) 1914 წელს, სასულიერო დიკასტერია (სასამართლო) დაიხურა, სემინარიის ფუნქციონირება მოიშალა, აიკრძალა ქართული გალობა, ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აღვლენა (ჯვარი ვაზისა 1906: 11).

კომუნიზმისთვის იდეურად მიუღებელი იყო სიყვარულის მქადაგებელი მოძღვრება. ადამიანის სრულქმნილებისთვის მოწოდებული რელიგია, ცხადია, სრულიად ზედმეტი იყო საბჭოთა იდეოლოგიური სისტემისათვის, რომელიც კოლექტიურ აზროვნებას, ინდივიდუალობის წაშლას უნერგავდა ხალხს. მას კოლექტივი სჭირდებოდა – პარტიის ნებისმიერი მოთხოვნის, დოგმის უპირობო მიმღები, მადლობელი და დიადი კომუნიზმის აღმშენებელი.

ამ პერიოდის ფსევდოლიტერატურამ ყველაზე უკეთ შეითავსა მასკულტურის გამავრცელებლის როლი, მითუმეტეს, რომ მწერალს („ადამიანის სულის ინჟინერს“ – სტალინის განმარტებით) და მწერლობას ყველაზე ძლიერი გავლენის მოხდენა შეეძლო მასებზე. ამ დროს მწერლები იდეოლოგიაზე მორგებული „გმირის“ სახეს ქმნიდნენ.

ამგვარი „უვიცობის ფსკერზე“ (ო. ჭილაძე) იყო დაცემული „ნერგი ზეცისა“ (წმ. ბასილი დიდი) – ადამიანი; ღვთის ხატად და მსგავსად, სულიწმინდის ტაძრად შექმნილი „უმაღლესი მეუფე“ (წმ. გრიგოლ ნოსელი). ასე გამოეცალა „დიდ საბჭოეთში“ ყოველგვარი ღვთაებრივი ნიშანი ადამიანს და პარტიის მონად და ლაქიად იქცა.

პროლეტარული მწერლობა დაუპირისპირდა და მკაცრად ებრძოდა „ცისფერყანწელებს“, აკადემიურ ჯგუფს, ფუტურისტებს და სხვა ლიტერატურულ დაჯგუფებას. ამ დროის ლიტერატურის უმთავრესი მიზანი მუშათა კლასის რევოლუციური იდეებისთვის ბრძოლის ასახვა, რევოლუციური მიზნებისა და მისწრაფებების პროპაგანდირება იყო.

იდეოლოგიის დამცველებს მიაჩნდათ, რომ *„მწერლობა არ არის ნიჭიერება, ეს არის აზროვნება. იგი არის პროპაგანდა. პროპაგანდა კი შეუძლია ყველას, ვინც იცის წერა-კითხვა და ესმის მოცემული დირექტივის აზრი და მიზანი. სიტყვაკაზმულ მწერლობას ენიჭებოდა სკკპ აგიტპუნქტის ფუნქცია“* (ბაქრაძე 1990: 43).

რელიგიური შინაარსის სიტყვების გამოყენებაც კი იკრძალებოდა. ანტირელიგიურმა პროპაგანდამ ტოტალური ხასიათი მიიღო; უღმერთობის, უსამშობლობის პროპაგანდა, ეროვნულობის იგნორირება იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან დისკურსად:

„ტკივილს ვერ მომგვრის მე სამშობლოს მიწის სიშორე,
მე ჩემს სამშობლოს ქვეყანაზე ყველგან ვიშოვი“
(ლორთქიფანიძე 1927: 107).

თუკი ქრისტიანული სახე-სიმბოლოები ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში იმისთვის გამოიყენებოდა, რომ ადამიანს დაენახა უფლისკენ მიმავალი რთულად სავალი გზა, სოცრეალიზმის ბელადები და იდეოლოგიის ავტორები თავად იყვნენ გზაც და ხსნაც. ამ პერიოდის ლიტერატურაში წახალისებული იყო დაუნდობლობა, დამსმენობის ინსტიტუტი; ლიტერატურა ამგვარი ტიპის „ახალი ადამიანის“ აღმზრდელ ინსტიტუტად იქცა.

მაია მენთეშაშვილი
ვლ.კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის
199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის
წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
ალიბეგაშვილი 2008: ალიბეგაშვილი გ., მაღლაფერიძე ვ., ჰაგიოგრაფიული თხრობა, ქართული სიტყვა, № 2, თბილისი, 2008.
ბაქრაძე 1990: ბაქრაძე აკ., მწერლობის მოთვინიერება, გამ., „სარანგი“, თბილისი, 1990.
კიზირია 2010: კიზირია დ., ტირანი, როგორც მესია (გიორგი ლეონიძის პოემა „სტალინის ბავშვობა და ყრმობა“), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი“ (მე-20 საუკუნის გამოცდილება) მასალები, ლიტინსტიტუტის გამ., თბილისი, 2010.
ლორთქიფანიძე 1927: ლორთქიფანიძე კ., „წინაპრებს“, ჟ. „მნათობი“, 1, 1927.
სირაძე 1975: სირაძე რ., ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თსუ, თბ., 1975.
„სპარტაკი“ 1924: გაზეთი „სპარტაკი“, №69, 6 იანვარი, 1924.
„ჯვარი ვაზისა“ 1906: ჟ. „ჯვარი ვაზისა“, ╬ 6, 1906.

სასკოლო აქტივობა

ნუ მიმატოვებ, დედა!

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის ძალისის საჯარო სკოლის IX კლასში, ჩატარდა საკლასო პროექტი-ღონისძიება „ნუ მიმატოვებ, დედა!“ აღნიშნული პრობლემა, როგორც მოგეხსენებათ, აქტუალურია, უფრო მეტიც, კლასში 14 მოსწავლიდან ორი გოგონა უდედოდ იზრდება: ერთი მათგანი დედამ მიატოვა და ბებია ზრდის, მეორეს დედა კი, 10 წელია, საზღვარგარეთ სამუშაოდაა წასული.

ღონისძიებისათვის მზადება პირველ სემესტრშივე დაიწყო. მზადებისა და მასალების მოძიების პროცესი ბევრად უფრო საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით.

თითოეულ მოსწავლეს დაევალა წერილობით გადმოეცა საკუთარი გრძნობა და შინაგანი განწყობა-დამოკიდებულება, თუ რას წარმოადგენდა მისთვის დედა, მასთან სიახლოვე და დაშორება.

მეორე დავალება ითვალისწინებდა ლიტერატურული თუ ისტორიული წყაროებიდან ქართველი ქალის, ქართველი დედის სახე-პერსონაჟების მოძიებასა და მათი დამსახურების წარმოჩენას ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში; მესამე დავალება – ინტერნეტსა და პრესაში შვილებს მონატრებული დედებისა და დედებს მონატრებული შვილების წერილების მოძიებას. მოგეხსენებათ, საკითხი აქტუალურია, ამდენად მეტად მდიდარმა და საინტერესო მასალამ მოიყარა თავი.

მუშაობისა და მზადების პერიოდშივე შედეგი თითქმის სახეზე იყო: მხედველობაში მაქვს ის, რომ გოგონამ, რომელსაც წლების მანძილზე თავისი ბიოლოგიური დედის ხსენებაც არ უნდოდა და აცხადებდა, ჩემთვის დედა ბებიაა, რომელიც მზრდის, სხვა დედა არ მყავსო, ახლა აზრი შეიცვალა და, უკვე ღონისძიებაზე, ყველასათვის მოულოდნელად, აღნიშნა: *„მე მტკიცედ მწამს, რომ დედა, რომელმაც არც კი ვიცი, რატომ მიმატოვა, არის ქალი, რომელსაც ჩემი სიკეთე ამქვეყნად ყველაზე მეტად უხარია, ამიტომ გთხოვთ, დედებო, ნურასოდეს მიგვატოვებთ, რადგანაც ყველაზე მეტად თქვენ გვჭირდებით“.* ამ გოგონამ დედა მალევე მოძებნა და ურთიერთობაც აღადგინა.

რაც შეეხება მეორე გოგონას, რომელსაც ღრმად სწამდა, რომ დედა მისთვის უზრუნველი ცხოვრების მოსაწყობად იღვწოდა, ახლა ასეთი პოზიცია გამოხატა: *„დედებო, ყველა შვილის სახელით, გთხოვთ, ნუ მიატოვებთ შვილებს იმის გამო, რომ მათ ბედნიერი, უზრუნველი მომავალი შეუქმნათ, რადგანაც ჩვენი ბედნიერი მომავალი სწორედ თქვენ ბრძანდებით“.*

დედებისა და შვილების მონატრების სხვა გულისამაჩუყებელი წერილებიც წაიკითხეს. საკუთარი პოზიცია გამოხატა სკოლის დირექტორმა, **ნინო გათენაშვილმა**, რომელმაც სამართლიანად აღნიშნა, რომ ქართველი ქალი, დედა ყოველთვის ღირსეულად უძღვებოდა ოჯახს და ეს ერთობა აუცილებელია სიმტკიცისათვის, მოზარდის სრულფასოვანი აღზრდისა და ჩამოყალიბებისათვის.

მერი ცუღოშვილი
მცხეთის მუნიციპალიტეტის
სოფელ ძალისის საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი

თვალსაზრისი

როგორ გავზარდოთ მკითხველი

აკაკი ბაქრაძე წერდა: *„არის ნიჭი მწერლისა და არის ნიჭი მკითხველისა. რა დიდებული წიგნიც უნდა დაწეროს მწერალმა, მნიშვნელობა არა აქვს, თუ მას ნიჭიერი მკითხველი არ კითხულობს“.*

როგორ გავზარდოთ ნიჭიერი მკითხველი?

როგორ ვაქციოთ მხატვრული ლიტერატურა თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების გზად?

დღეს ეს საკმაოდ აქტუალური საკითხია. რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ აღარ დავიჩივლოთ – მოზარდები წიგნებს არ კითხულობენ. როგორ გავაცნობიერებინოთ მოსწავლეებს, რატომ უნდა წაიკითხონ მხატვრული ნაწარმოებები.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მოსწავლისათვის უნდა იყოს ლიტერატურული გზამკვლევი. **ინტერესისა და ასაკის მიხედვით შევურჩიოთ მხატვრული ლიტერატურა.** თუ სწორად არ შეირჩა ნაწარმოებები, ეს იქნება ამოკითხვა და არა გააზრებული კითხვა. მაია ინასარიძე შენიშნავს: *„კითხვა რომ სასარგებლო იყოს, მკითხველმა უნდა შეძლოს ტექსტის გაგება და ინტერპრეტაცია“.* სამწუხაროდ, ხშირად გამიგია, რომ III-IV კლასების მოსწავლეებს წასაკითხად აძლევენ ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწულს“. საინტერესოა, რა ასაკის მკითხველი გაიაზრებს ფრაზებს: *„საკუთარი თავის განსჯა ასჯერ უფრო რთულია, ვიდრე სხვების. თუ საკუთარი თავის სამართლიანად განსჯას მოახერხებ, ე.ი. ნამდვილი ბრძენი ხარ“ // „თვალი ბრმაა, გულით უნდა ეძებო“ // „ როცა თავს მოათვინიერებ, შეიძლება ხანდახან ცრემლების ღვრამაც მოგიწიოს“.* გამოცდილი მასწავლებელი ამ „ფიქრის წყარო“ ნაწარმოებს VII-VIII კლასებამდე არ წააკითხებს მოსწავლეებს, კითხვის პროცესში კი, პერიოდულად, დაეხმარება გააზრებაში. მანამდე კი, იკითხონ პატარებმა ასტრიდ ლინდგრენის გმირების სახალისო თავგადასავლები, თავგადასავლებამდე – ზღაპრები, პატარ-პატარა ლეგენდები, საყმაწვილო მოთხრობები.

ყოველი წიგნის დასახელებისას უნდა შევძლოთ მოსწავლეთა ინტერესის პროვოცირება. მოვუყვეთ პატარა, მაგრამ ძალიან საინტერესო ეპიზოდი ნაწარმოებიდან. სიყვარულით ვახსენოთ მათთან პერსონაჟები: *„ იცით, ერთხელ ჩვენს პეპის დაბადების დღეზე ვინ ესტუმრა...“ // „ ჩვენი პეპი ცირკში უცნაურად მოიქცა, ჯერ ცხენზე შეხტა, მერე...“ (ასტრიდ ლინდგრენის „პეპი გრძელწინდა“) // „ძალიან ცელქი და საინტერესო ბიჭია ემილი. მას ერთხელ თავი ბულიონიან ჯამში გაეჭედა...“ (ასტრიდ ლინდგრენის „ლიონერბერგელი ემილის თავგადასავალი“).* ჩვენმა ნათქვამმა მოსწავლეს აუცილებლად უნდა ათქმევინოს „მერე?“, სწორედ ამ ინტერესით ნათქვამმა „მერემ“ უნდა წააკითხოს მოსწავლეს მხატვრული ლიტერატურა.

დიდტანიანი მხატვრული ნაწარმოებების კითხვა, დაწყებით საფეხურზე, შესაძლოა მოსწავლისათვის მოსაბეზრებელი გახდეს. მაგალითად, ინტერესით დაიწყოს „ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონის“ კითხვა, მაგრამ გაუჭირდეს მისი ბოლომდე მიყვანა. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად, სასურველია, უფროსებმა (მშობლებმა, მასწავლებლებმა), პერიოდულად, გამოვნახოთ დრო და ორიოდე ფურცელი ან თუნდაც ერთი თავი ჩვენ წავუკითხოთ. შემდეგ ერთად წაკითხულზე ვიმსჯელოთ, შევაფასოთ პერსონაჟთა ქცევები. ეს მეთოდი „დაგვამეგობრებს“ პატარა მკითხველთან. მეგობრობის ეს ფორმა კი მიზნის მისაღწევი საუკეთესო გზაა.

თუ შევძელით და დაწყებით საფეხურზე კითხვა „საყვარელ საქმედ“ ვუქციეთ მოსწავლეებს, პროცესი ისევ ჩვენ უნდა ვმართოთ. ისევ ვურჩიოთ, რა წაიკითხონ. თვალი ვადევნოთ, რა სახის ლიტერატურას ირჩევენ თავად. არასდროს უყურადღებოდ არ დავტოვოთ ის ნაწარმოებები, რომლებიც თავად შეარჩიეს და მოსწონთ. ყურადღებით მოვუსმინოთ, რიგ შემთხვევებში, მათი რჩევით ჩვენც წავიკითხოთ. ხშირად ვეცადოთ, ლიტერატურის გაკვეთილებზე **დავაფიქროთ მოსწავლეები, როგორ იბადებიან და როგორ ცხოვრობენ ლიტერატურული პერსონაჟები.** რეალურად ისინი ხომ ცხოვრებიდან მოდიან. პაოლო იაშვილი წერდა: *„რამდენი თვალი უნდა მქონდეს, რომ ყველა ვნახო...“ // „რამდენი სახე მე თვით უნდა გავაპარტახო“.* მართლაც, ვინ იცის, რამდენი ქართველის თვისებების შერწყმით შექმნა ილიამ თათქარიძეების, ოთარაანთ ქვრივისა და ლელთ ღუნიას მხატვრული სახეები. იპოვა და მხატვრული სიცოცხლე შესძინა მიხეილ ჯავახიშვილმა კვაჭი კვაჭანტირაძეს, გივი შადურს, თეიმურაზს. პერსონაჟები ჯერ ჩვენ გვერდით ცხოვრობენ, ისინი ორჯერ იბადებიან – რეალურ ცხოვრებასა და მწერლის მიერ შექმნილ სასურველ სამყაროში. მოსწავლეებმა, ლიტერატურული ნაწარმოებების გაცნობის შემდეგ უნდა იფიქრონ, რამდენი დადიანის ასული ცხოვრობს მათ გარშემო, რამდენი მარიტაა და რამდენი ციციკორე. ვის ახასიათებს ჯეინ ეარის თვისებები. რა შეძლო მარტინ იდენმა, რომლისთვისაც *„ყოველი წიგნის გვერდი თითქოს სათვალთვალო ჭუჭრუტანად იქცა, საიდანაც ცოდნის სამყაროს ჭვრეტდა“.* რასაკვირველია, ვერ შევძლებ ყველა ავტორისა და ყველა პერსონაჟის დასახელებას, მაგრამ სასურველია, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს კლასების მიხედვით ჰქონდეს შერჩეული სავალდებულო კლასგარეშე ლიტერატურის სია, რომელსაც მიზნობრივად გამოიყენებს.

დამეთანხმებით, არის გარკვეული მხატვრული ნაწარმოებები, რომლებსაც ადამიანი სკოლაში სწავლის პერიოდში აუცილებლად უნდა გაეცნოს, მათში წარმოდგენილ მხატვრულ სახეებთან ერთად იფიქროს, მათთან ერთად გადაწყვიტოს, მათთან ერთად ეწყინოს და გაუხარდეს. და თუ კარგად გაიცნობს პერსონაჟებს, მიხვდება, რომ თითოეული მათგანი ჯერ რეალურ სამყაროში დაიბადა, მერე მწერლებმა ნაწარმოებებში „გადაიყვანეს“, სიცოცხლე კი იმ ადამიანებმა გაუხანგრძლივეს, მკითხველი რომ ჰქვია. ნიჭიერ მკითხველს ჩვენ გავზრდით, თუ შევაყვარებთ კითხვის პროცესს, ჩამოვუყალიბებთ ლიტერატურულ გემოვნებას და წაკითხულზე ფიქრს ვასწავლით. მაშინ ლიტერატურა მოსწავლისათვის თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების გზად იქცევა.

ქეთევან ილურიძე

ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი, არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკაკი ბაქრაძე, „სკოლას“, 2004 წელი;

2. მაია ინასარიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, 2006 წელი.

ახალი ამბები

ევრიკა, ანუ აღმოაჩინე საგანი

მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის და სწავლის შემდეგი ეტაპებისთვის მოსამზადებლად, სკოლებში მალე ახალი პროექტი ამოქმედდება – „ევრიკა“ გააძლიერებს სკოლასა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთკავშირს, რაც უმაღლესი რანგის პროფესიონალების, მეცნიერებისა და მკვლევრების სკოლებთან კავშირს გულისხმობს.

პროექტის ფარგლებში, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები მოზარდებს ლექციებს 5 საგანში წაუკითხავენ. ინიციატივის მიზანი საგანმანათლებლო პროცესში უნივერსიტეტების აქტიური ჩართვა და კონკრეტული საგნისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებაა. ამისთვის პროექტის მონაწილეებს სახალისო და არასტანდარტული მეთოდების გამოყენებაც მოუწევთ. ონლაინ გაკვეთილების ჩასატარებლად პროფესორ-მასწავლებლებთან მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია.

„ჩვენ ვთხოვთ ჩვენს ცნობილ მეცნიერებს, ასევე გამოცდილ პედაგოგებს, რომ მათ ონლაინ გაკვეთილები ჩაატარონ საქართველოს ყველა სკოლაში. სისტემა იქნება ასეთი: ჩატარდება გაკვეთილები, მაგალითად, სახალისო მათემატიკაში, სახალისო ფიზიკაში, სახალისო ქიმიაში, ასევე ჰუმანიტარულ საგნებში. ამ გაკვეთილების ციკლს ჩაატარებენ ცნობილი მეცნიერები. ონლაინი საშუალებას გვაძლევს, რომ ეს გაკვეთილები საქართველოს ყველა სკოლაში ერთდროულად ჩატარდეს. მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეებს გავუღვიძოთ მეცნიერებისადმი ინტერესი. ამ გაკვეთილებს პედაგოგებიც დაესწრებიან და ეს მათი პროფესიული განვითარებისთვისაც მნიშვნელოვანია,“ – აცხადებს განათლების მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი**.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი პროექტი „ევრიკა, ანუ აღმოაჩინე საგანი“ ონლაინ გაკვეთილების ციკლს მოიცავს, რომელმაც სკოლა და უნივერსიტეტი ერთმანეთს უნდა დაუკავშიროს. მეცნიერები მოსწავლეებს ინტერნეტით, დისტანციურად, სხვადასხვა საგნებში სახალისო ლექციებს ჩაუტარებენ. მიზანი მოზარდებში მეცნიერების პოპულარიზაციაა.

ლია გიგაური, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის *მოადგილე: „მეცნიერებთან შევთანხმდით, რომ თითოეული გაკვეთილი მოსწავლეებისთვის ძალიან სახალისო და საინტერესო იქნება. ყოველ ასეთ გაკვეთილზე ისინი ახალ-ახალ აღმოჩენებს გააკეთებენ, გაიგებენ, რაც მანამდე არ სმენიათ, არ იცოდნენ ამა თუ იმ მეცნიერებისა თუ საგნის შესახებ.“*

დისტანციურ სწავლებაზე წვდომა ექნება საქართველოს ყველა საჯარო და კერძო სკოლას. სწავლების ეს ციკლი პროფესიული განვითარების საშუალებას მისცემს შესაბამისი საგნის პედაგოგებსაც.

„ევრიკა“ თებერვლის ბოლოს დაიწყება. ამ ეტაპზე, პროექტი მხოლოდ 5 საგანს მოიცავს: ქართულ ენასა და ლიტერატურას, ისტორიას, ქიმიას, ფიზიკასა და ბიოლოგიას. ერთ თვეში, თითო კლასში, საშუალოდ, 3-4 გაკვეთილი ჩატარდება. მოსწავლეებთან ერთად, მასწავლებლებიც მოლოდინის რეჟიმში არიან. თბილისის 47-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, **ხათუნა ჯეჯელავას**

მიაჩნია, რომ *„ამ პროექტის დახმარებით მოსწავლეებს განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა გაუჩნდებათ, რაც მათ კრიტიკული აზროვნების განვითარებაში დაეხმარება და მისცემს საშუალებას, კრიტიკულად იაზროვნონ, დასვან კითხვები – რატომ? შემოქმედებითი თავისუფლებისათვის იქნება მეტი ასპარეზი.“*

მოსწავლეებისთვის ონლაინ გაკვეთილებზე დასწრება ნებაყოფლობითი იქნება, რადგან ისინი, სავალდებულო გაკვეთილების დასრულების შემდეგ, კლასგარეშე ფორმატში ჩატარდება. მოსწავლეთა ნაწილი ფიქრობს, რომ ამ ტიპის გაკვეთილები, განათლების მიღების გარდა, მათ პროფესიის არჩევაშიც დაეხმარება.

სალომე ჯალაღონია, თბილისის 47-ე საჯარო სკოლის მოსწავლე: *„თავდაპირველად, მგონია, რომ ამ ყველაფერს გაცნობის სახე ექნება. ალბათ ის პროფესორები და სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენლები გაგვეცნობიან და ამის შემდეგ დაიწყებენ თავიანთ საქმიანობაზე დეტალური ინფორმაციის მოწოდებას.“*

საქართველოს ქიმიის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების ნაკრების ხელმძღვანელი, პროფესორი **ელიზბარ ელიზბარაშვილი** იხსენებს, რომ, წლების წინ, არსებობდა პრაქტიკა, როცა მეცნიერები სკოლაში თავად მიდიოდნენ და მოსწავლეებს გაკვეთილებს უტარებდნენ. თუმცა, მაშინ ამან მხოლოდ რამდენიმე სკოლა მოიცვა. ქიმიის ოლიმპიური ნაკრების 40-წევრიანი გუნდიც, ფაქტობრივად, მხოლოდ თბილისში მცხოვრები მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული. ამიტომ მისთვის ონლაინ გაკვეთილები შანსია, მთელი ქვეყნის მასშტაბით იპოვოს ნორჩი ქიმიკოსები.

„ონლაინ გაკვეთილების სისტემა ჩემთვის ძალიან კარგი შანსი იქნება, ვიპოვო ქიმიის ტალანტით დაჯილდოებული ბავშვები რეგიონებში.“

„ეს არ უნდა იყოს, ჩემი გადასახედით, კლასიკური გაკვეთილი, როდესაც მასწავლებელი, გარკვეული გეგმის მიხედვით, რაღაცას ხსნის. პირიქით, აქ უნდა იყოს გარკვეული, ამ საგნის რომელიღაც მსხვილი თემატიკა როგორ არის დაკავშირებული ყოფა-ცხოვრებასთან, იმასთან, რაც შეიძლება ნებისმიერ მოსწავლეს, კლასიდან გამოსვლისთანავე, ქუჩაში დასჭირდეს.“ – ამბობს ბატონი ელიზბარი.

„ევრიკა“, ამ ეტაპზე, საპილოტე რეჟიმში, თუმცა, ქვეყნის მასშტაბით, ყველა სკოლაში ერთდროულად ამოქმედდება. ონლაინ გაკვეთილები, თავდაპირველად, IX, X და XI კლასებს ჩაუტარდებათ. ახალი სასწავლო წლიდან კი, მასში VII და VIII-კლასელებიც ჩაერთვებიან. ეტაპობრივად გაიზრდება საგნების რაოდენობაც. ონლაინ გაკვეთილები ჩაიწერება და პარალელურად, სამინისტროს ვებგვერდზე დაიდება, რათა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, რომ ტექნიკური თვალსაზრისით სკოლები ონლაინ გაკვეთილებისთვის სრულად მზად არიან, პროექტის ფინანსურ მხარეზე კი განათლებისა და ფინანსთა სამინისტროები, ერთობლივად, ჯერ კიდევ მუშაობენ.

სამოდელო გაკვეთილი

ნიადაგის მჟავიანობა

გაკვეთილის გეგმა

თემა: „ნიადაგის მჟავიანობა“

ქიმ.IX.7.მოსწავლეს შეუძლია გარემოზე დაკვირვება და მოპოვებული მონაცემების ქიმიის თვალსაზრისით შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განასხვავებს ხსნარებს მჟავიანობის მიხედვით წინარე ცოდნის საფუძველზე და მჟავიანობის გაზომვის შემდეგ ადასტურებენ თავის მოსაზრებებს;
- იყენებს მჟავების, ფუძეებისა და ნეიტრალიზაციის შესახებ მიღებულ ცოდნას და დასახავს გეგმას ნიადაგების მჟავიანობის შესამცირებლად/გასაზრდელად.

კვლ.IX.2.მოსწავლეს შეუძლია კვლევითი პროცედურის განხორციელება/მონაცემების აღრიცხვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს შესაბამის მასალას ან/და აღჭურვილობას და ატარებს დაგეგმილ ცდას უსაფრთხოების წესების დაცვით;
- აწარმოებს დაკვირვებას და/ან გაზომვებს, აღრიცხავს მონაცემებს;
- აკვირდება, ზომავს, იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებებს მონაცემების სათანადო სიზუსტით რეგისტრირებისთვის (*მაგ., ცვლადების მნიშვნელობების აღრიცხვა ქრონოლოგიურად).*

მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ:

- კვლევის საფუძველზე როგორ უნდა დადგინდეს სხვადასხვა სხნარების მჟავიანობა;
- რომ სხვადასხვა მიწას აქვს სხვადასხვა მახასიათებლები, მათ შორის მჟავიანობა, რომელიც მოქმედებს მცენარის განვითარებაზე;
- როგორ გამოიყენება წინარე ცოდნა მჟავების, ტუტეებისა და ნეიტრალიზაციის რეაქციის შესახაბ და დასახონ მიწის მჟავიანობის შესამცირებლად;
- კვლევის ჩატარება და ანგარიშის დაწერა.

სამოდელო გაკვეთილი ჩატარდება ინოვაციური მიდგომის გამოყენებით. საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული იქნება:

- გონებრივი იერიში;
- პროგრამა One Note, Excel Online;
- პრაქტიკული კვლევა სენსორული Ph საზომის და უნივერსალური ინდიკატორის გამოყენებით;
- ცხრილების და დიაგრამების აწყობა (ინფორმაციის ვიზუალიზაცია) Online Excel
- ინტერაქტიული ტესტი MouseMischieft.

პრეზენტაცია, რომელიც გაკვეთილის მსვლელობისას მიმდინარეობს.

მასწავლებლის სავარაუდო აქტივობები:

აქტივობა 1. თემის გაცნობა, **წინარე ცოდნის გააქტიურება**. გავიხსენოთ, რომ ხსნარები განსხვავდება ერთმანეთისაგან ერთ-ერთი მაჩვენებლით, რომელსაც ჰქვია pH (3 წთ).
კითხვა: რას გვიჩვენებს pH? რით იზომება pH? რის ფარგლებში იზომება pH?

აქტივობა 2: (10 წთ) კლასი დაყოფილია ჯგუფებად. მოსწავლეებს დაურიგდება სინჯარები სხვადასხვა ხსნარებით, შესაბამისი წარნერით (რძე, ჩაი, სოდიანი წყალი, ყავა, ფორთოხლის წვენი, მათეთრებელი, მინის საწმენდი, შამპუნი, თმის ბალზამის ხსნარი, წყალი, კოკა-კოლა, თხევადი საპონი, მჟავა, კირიანი წყალი). მათ დაევალებათ ხსნარების დალაგება მჟავიანობის შემცირების მიხედვით სენსორის გამოყენებით (ჯგ.№1), უნივერსალური ინდიკატორის (ჯგ.№2) გამოყენებისა და ლოგიკის (ჯგ.№1) საფუძველზე.
თითოეული ხსნარის მჟავიანობა გაიზომება/განისაზღვრება ჯგუფში და შეივსება შესაბამისი Excel-ის ცხრილი. აიგება შესაბამისი დიაგრამა. კვლევის შედეგების პრეზენტაცია One Note-ის საშუალებით

№	ხსნარი	pH
1	ჩაი	
2	ყავა	
3	რძე	
4	მჟავა	
5	წყალი	
6	ფორთოხლის წვენი	
7	შამპუნი	
8	ბალზამი	
9	მინის საწმენდი	
10	კოკა-კოლა	

აქტივობა 3: (5 წთ) One Note-ის გვერდზე შევადგენთ თითოეული ჯგუფის ხსნარების pH სკალას. ჯგუფის წარმომადგენელი დაწერს ჯგუფის ვარაუდს. შევადარებთ მიღებულ სკალებს.

აქტივობა 4. მინის მჟავიანობა. მინი-ლექცია (5 წთ).

აქტივობა 5. დაადგინეთ თქვენი ეზოს მინის მჟავიანობა. მიწის სინჯები გახსენით სინჯარაში წყლით და სენსორული pH მეტრით გაზომეთ მჟავიანობის მნიშვნელობა. ჩაინიშნეთ მიღებული მნიშვნელობა (5წთ).

აქტივობა 6. როგორ შევამციროთ მიწის მჟავიანობა? გონებრივი იერიში. შემდგომ სლაიდის ჩვენება (5 წთ.).

აქტივობა 7: საშინაო დავალების მიცემა. Edmondo-ში დადებულია Assigment-შეფასება. მოსწავლეებმა უნდა დაწერონ ანგარიში გეგმის მიხედვით არანაკლებ 50 სიტყვისა (2 წთ).

- *დააკვირდით იმ მიწის მონაკვეთს, საიდანაც მოიტანეთ სინჯები;*
- *რა გაიზრდება კარგად ამ მონაკვეთზე;*
- *რას გაუჭირდება გახარება;*
- *აირჩიეთ სასურველი ბოსტნეული და დასახეთ რა სამუშაოები უნდა ჩატარდეს მიწაზე, რომ მან გაიხაროს;*
- *საჭიროა თუ არა თქვენი მიწის თვისებების შეცვლა. თუ საჭიროა – როგორ?*

აქტივობა 8. MouseMischieft ტესტი – როგორ ავითვისეთ შესწავლილი მასალა. ჯგუფებს მიეცემა თითო თავი და შეასრულებენ ინტერაქტიულ ტესტს (10 წთ).

შეფასება: გაკვეთილის მსვლელობისას ჯგუფები შეფასდება განმავითარებელი შეფასებით და თვითშეფასებით (რუბრიკა მიცემულია წინასწარ).

ჯგუფური მუშაობის თვითშეფასების რუბრიკები

ჯგუფის თითოეული წევრი თავად აფასებს საკუთარ ნამუშევარს. მნიშვნელოვანია, რომ მოს-

კრიტერიუმი	მიღწევის დონე			
	4	3	2	1
თანამშრომლობა/სამუშაოსგადანაწილება	კარგად ვმუშაობ ჯგუფის ყველა წევრთან, სამუშაოს თანაბრად ვინაწილებთ.	კარგად ვმუშაობ ჯგუფის თითქმის ყველა წევრთან, სამუშაოს ყოველთვის თანაბრად არ ვინაწილებთ.	ჯგუფში კარგად ვმუშაობ დროის გარკვეულ მონაკვეთში, ჯგუფის სხვა წევრები ასრულებენ ძირითად სამუშაოს.	არ ვმუშაობ კარგად ჯგუფში, არ ვასრულებ ჩემთვის განკუთვნილ სამუშაოს.
ჩართულობა	სრულად ვარ ჩართული სამუშაო პროცესში, ვასრულებ ყველა სამუშაოს.	დროის ძირითად ნაწილში ჩართული ვარ სამუშაო პროცესში, თითქმის ყველა სამუშაოს ვასრულებ.	მუშაობისას ბევრ დროს ვკარგავ სხვა საქმიანობაზე, სამუშაოს დიდ ნაწილს არ ვასრულებ.	არ ვარ ჩართული სამუშაო პროცესში, დიდი დროის მანძილზე სხვა საქმით ვარ დაკავებული.
მოსმენა	ყურადღებიანი ვარ და ყოველთვის ვუსმენ ჯგუფის წევრების მოსაზრებებს.	ჯგუფის წევრებს ვუსმენ ძირითადი დროის განმავლობაში და ყურადღებას ვაქცევ, თუ რას იტყვიან ისინი.	იშვიათად ვუსმენ ჯგუფის წევრებს, ხშირად ვაწყვეტინებ საუბარს.	საერთოდ არ ვაქცევ ყურადღებას, რაზე საუბრობენ ჯგუფის წევრები. მე ჩემი მოსაზრებები მაქვს.
უკუკავშირი	ძირითადად კონსტრუქციულ უკუკავშირს ვაძლევ ჯგუფის წევრებს.	კონსტრუქციულ უკუკავშირს ხშირად ვაძლევ ჯგუფის წევრებს.	უკუკავშირს მხოლოდ მაშინ ვაძლევ ჯგუფის წევრებს, როდესაც მეკითხებიან.	არასოდეს ვაძლე უკუკავშირს ჯგუფის წევრებს.
ლიდერობა/ხელმძღვანელობა	სიამოვნებით ვარ/ვიქნები ლიდერი ჯგუფში, დავეხმარები ჯგუფის დანარჩენ წევრებს აქტიურ მუშაობაში.	უმეტესი დროის განმავლობაში ვარ/მზად ვარ, ვიყო ჯგუფის ლიდერი.	შემიძლია ვიყო ჯგუფის ლიდერი, მაგრამ ამას ჩემი სურვილით არ გავაკეთებ.	არ მსურს ჯგუფის ლიდერობა, ვიქნები ჯგუფის ჩვეულებრივი წევრი.
პასუხისმგებლობა/მუშაობის ჩვევა	ყოველთვის ვასრულებ ჩემს სამუშაოს და არასოდეს მჭირდება შეხსენება. ყოველთვის ვცდილობ წავახალისო ჯგუფის სხვა წევრებიც.	ძირითადად ვასრულებ ჩემს სამუშაოს და ძალიან იშვიათად მჭირდება შეხსენება.	რამდენჯერმე დამჭირდა შეხსენება, რათა შემესრულებინა ჩემი სამუშაო.	ყოველთვის მჭირდება შეხსენება, რათა შევასრულო ჩემი სამუშაო.

წავლეებმა ასეთი შეფასების რუბრიკა მუშაობის დროსაც გამოიყენონ და არა მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ.

ჯგუფში მუშაობის შეფასების რუბრიკა მასწავლებლისათვის (დაკვირვებისა და კომენტარებისათვის)

ჯგუფები	მოსწავლეები (სახელი, გვარი)	კომენტარები ჯგუფის მუშაობის შესახებ
I ჯგუფი		
II ჯგუფი		
III ჯგუფი		

თვითშეფასება
შეფასების ჯგუფის უკუკავშირი

მარინა ისკაკოვა
ქუთაისის №33 საჯარო სკოლის დირექტორი,
ქიმიის მენტორი მასწავლებელი

მშობელთა კრება

დასწავლის უნარის დარღვევა ბავშვებში

თეონა ლოდია
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტი პროფესორი

– დასწავლის უნარის დარღვევა განვითარების დარღვევაა, რომელიც სწავლისა და აკადემიური უნარების გამოყენების სირთულეებს მოიცავს. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ბავშვს, სკოლაში შესვლისთანავე, „მოულოდნელად“ სირთულეები ექმნება წერის, კითხვისა თუ ანგარიშის ათვისების პროცესში. რატომ მოულოდნელად? იმიტომ, რომ მის ადრეულ განვითარებაში პრობლემებს მშობლები ხშირად ვერ ამჩნევენ. ბავშვი გონიერია, მოტორიკა ასაკის შესაბამისადაა განვითარებული, შემოქმედებითი უნარებიც აქვს, თუმცა, ვერ უმკლავდება სკოლის მოთხოვნებს. შესაბამისად, დაბნეული მშობლებისაგან ხშირად ისმის გამონათქვამები: „შეძლებდა, რომ უნდოდეს“, „ზარმაცია“. ბავშვები განიცდიან, რომ მშობლებს იმედს უცრუებენ. ადარებენ თავიანთ უნარებსა თუ შესაძლებლობებს თანაკლასელების მიღწევებს, უყალიბდებათ დაბალი თვითშეფასება, ხშირად უარს ამბობენ სკოლაში სიარულზე და მეცადინეობის პროცესი მათში იწვევს შფოთვას. სინამდვილეში პრობლემას ბიოლოგიური საფუძველი აქვს – ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირების დეფიციტის გამო ბავშვი ვერ ახერხებს მიღებული ინფორმაციის გადამუშავებას, მოწესრიგებას, ერთმანეთთან დაკავშირებას, შენახვას და შესაბამისად, გარემოს (სწავლასთან დაკავშირებულ) მოთხოვნებზე ადეკვატურ რეაგირებას. საყურადღებოა, რომ აღნიშნული პრობლემა არ არის გამოწვეული სმენის ან მხედველობის დაქვეითებით, დაბალი ინტელექტით, არახელსაყრელი სოციალური თუ ეკონომიკური პირობებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროული და ადეკვატური დახმარების შემთხვევაში მდგომარეობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება, თუმცა, გარკვეული პრობლემები, შესაძლოა, მთელი ცხოვრების განმავლობაში შენარჩუნდეს.

– რა შეიძლება იყოს ბავშვის დასწავლის უნარის დარღვევის მიზეზი?

– როგორც უკვე აღვნიშნე, დასწავლის უნარის დარღვევის მიზეზი თავის ტვინის ფუნქციონირების დაქვეითებაა. ერთი მიდგომის მიხედვით, დასწავლის უნარის დარღვევის მიზეზი ცალკეული შეგრძნებების არასაკმარის ინტეგრაციაში, ანუ ერთიან სისტემად ფუნქციონირების შეფერხებაში უნდა ვეძიოთ. ამგვარ გაგებას უკავშირდება „სენსორული ინტეგრაციის“ ცნება, რომელიც ასე შეიძლება განვმარტოთ: ტვინის კომპლექსური ფუნქციონირების საფუძველზე სხვადასხვა სენსორული არხით მიღებული ინფორმაციის გადამუშავების პროცესი და ამ ინფორმაციის ადაპტურ ქმედებებად ორგანიზება. კითხვისა თუ ანგარიშის დროს ბავშვმა უნდა შეძლოს სხვადასხვა სენსორული არხიდან მიღებული ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება და კონკრეტულ სიტუაციაში ადეკვატურად გამოყენება. თავის ტვინის ფუნქციონირების დაქვეითებას შესაძლოა ჰქონდეს როგორც გენეტიკური საფუძველი, ასევე შესაძლებელია გამოწვეული იყოს გარემოს მავნე ზემოქმედებით, ეკოლოგიური დაბინძურებით.

– სასწავლო პროცესის რომელ კომპონენტებში ვლინდება სირთულეები დასწავლის უნარის დარღვევის დროს?

– დასწავლის უნარის დარღვევის დროს პრობლემები იმდენად მრავალფეროვანია, რომ სრულყოფილად ჩამოთვლა გამიჭირდება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დარღვევის სურათი დამოკიდებულია სპეციფიკურ მიზეზებზე. ზოგ შემთხვევაში ბავშვს უჭირს სიტყვების ზუსტად ამოკითხვა, სწრაფად კითხვა; ზოგ შემთხვევაში, შეიძლება კითხულობდეს სწრაფად, მაგრამ უჭირდეს წაკითხულის გააზრება; შესაძლოა, უჭირდეს აზრის წერილობით გადმოცემა, ანგარიში ან მათემატიკური მსჯელობა; ვიზუალური ინფორმაციის გადამუშავების უნარის დეფიციტის შემთხვევაში ბავშვს უჭირს მარჯვენა-მარცხენას, ვიზუალურად მსგავსი სიმბოლოების ერთმანეთისგან გარჩევა (მაგალითად, ვიზუალურად მსგავსი ასოების, როგორებიცაა შ-წ, ძ-ხ, მ-ნ); სმენითი აღქმის დეფიციტის შემთხვევაში ბავშვს უჭირს რიცხვში ციფრების და სიტყვაში ბგერების თანმიმდევრობის აღქმა და დამახსოვრება; ზოგ შემთხვევაში უჭირს დააკავშიროს ბგერა ასოსთან ან დაიმახსოვროს ხელის რა მოძრაობა უნდა შეასრულოს, რომ ბგერის შესაბამისი ასო შემოხაზოს; შესაძლოა, კითხულობდეს, მაგრამ უჭირდეს წაკითხულიდან აზრის გამოტანა და მოყოლა; შესაძლოა, ასევე უჭირდეს მასწავლებლის მითითებების შესრულება, საკუთარი მოქმედებების დაგეგმვა და შესრულება.

– როგორია კვლევის შედეგები ჩვენთან და დასავლეთში ამ მიმართულებით?

– თანამედროვე კვლევების მიხედვით, ყოველწლიურად, ბავშვების 5-8%-ს, ნორმალური განვითარებისა და ნორმალური ინტელექტის პირობებში, აღენიშნებათ სწავლასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები. კვლევებით დადასტურებულია, რომ სირთულეები სწავლაში აისახება ბავშვის პიროვნულ განვითარებაზე, უკავშირდება სხვადასხვა პრობლემას ემოციური თუ სოციალური ურთიერთობის სფეროებში და შესაბამისად, გარკვეულ შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება საზოგადოებაში სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამგვარი პრობლემების მქონე ბავშვების დროული აღმოჩენა და მათი ფსიქოლოგიური შეფასება, შემდგომში ადეკვატური დახმარების სტრატეგიების დაგეგმვის მიზნით. ასევე კვლევებით დადგენილია, რომ დასწავლის უნარის დარღვევას ხშირად თან ახლავს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი.

– სპეციალური მიდგომის უზრუნველყოფის შემთხვევაში რამდენადაა შესაძლებელი ბავშვის სასწავლო პროცესში სრულფასოვანი ჩართვა?

– პირველ რიგში, მნიშვნელოვანია პრობლემის დროული

იდენტიფიკაცია და ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების ზუსტი შეფასება. მთავარი გამოწვევა დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვის სწავლებისას არის მეთოდების სწორად შერჩევა. ბავშვი ვერ სწავლობს იმ მეთოდებით, რომელთაც მას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სთავაზობს. ბავშვის უნარების შეფასების საფუძველზე, უნდა შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ისწავლის ის სკოლაში. სწავლების მეთოდები უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის ძლიერ მხარეებს და ირიბად ავითარებდეს სუსტ მხარეებს. თუკი ბავშვს უჭირს ერთმანეთისაგან გაარჩიოს გრაფიკულად მსგავსი სიმბოლოები, მაგალითად, ასოები – შ და წ, უმჯობესია, თუკი ყურადღებას გავამახვილებინებთ ხელის განსხვავებულ მოძრაობებზე ამ ასოების ჩაწერისას, ასე უკეთ დაიმახსოვრებს, ვიდრე, სიტყვიერი მინიშნებით იმის შესახებ, რომ შ-ს მუცელი მარცხნივ აქვს, ხოლო წ-ს მარჯვნივ. ვიზუალური ინფორმაციის გადამუშავება – სივრცითი ნიშნების გარჩევა – ისედაც უჭირს, სწორედ ამიტომაც სწავლებისას აჯობებს დავეყრდნოთ არა მის სუსტ მხარეს, არამედ ალტერნატიულ უნარს. სკოლაში ინდივიდუალური პროგრამის მიხედვით სწავლების გარდა, მნიშვნელოვანია, სხვადასხვა სპეციალისტის (ფსიქოლოგის, მეტყველების თერაპევტის, ოკუპაციური თერაპევტის) მიერ ბავშვის ინდივიდუალური დახმარება არასაკმარისად განვითარებული უნარების გაუმჯობესების მიზნით. თუკი დახმარება დროული, თანმიმდევრული და სისტემატური იქნება, მიიღწევა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ გარკვეული სირთულეები, შესაძლებელია, მთელი ცხოვრების განმავლობაში შენარჩუნდეს.

– რა რჩევებს მისცემდით მშობლებს, რომლებიც მსგავსი სირთულის წინაშე დგანან?

– პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, მშობელმა დროულად აღმოაჩინოს, რომ ბავშვს, თანატოლებთან შედარებით, უჭირს ასაკის შესაფერისი საქმიანობების შესრულება და შეფასებისთვის მიმართოს სპეციალისტს. ზოგადად, ვფიქრობ, რომ სასკოლო მზაობის შეფასება, ნებისმიერ შემთხვევაში, ინფორმაციულია და სწავლის სირთულეების პრევენციის საშუალებას გვაძლევს. შემიძლია გამოვყო სკოლამდელი ასაკის ბავშვის რამდენიმე მახასიათებელი, რომლებიც შესაძლოა მომავალში სწავლის სირთულეებზე მიგვანიშნებდეს: ბავშვი, თანატოლებთან შედარებით, გვიან იწყებს მეტყველებას, არ მოსწონს ხატვა, ძერწვა, ფაზლით თამაში, უჭირს შეასრულოს მითითებები, ზედმეტად მოუსვენარია, ვერ იმახსოვრებს ფერებს, უჭირს ტაშით გამოხატული გარკვეული რიტმის გამეორება და ა.შ.

თუკი დადასტურდა, რომ თქვენს შვილს სწავლაში სირთულეები აქვს, ყველაზე კარგი სტრატეგია მის დასახმარებლად თქვენი მოთმინებაა. ის ისედაც ძალიან ღელავს, რომ არ გამოსდის წერა-კითხვა და თუკი ეტყვით, რომ „ზარმაცია“, „არ ინდომებს“, უარეს შედეგს მივიღებთ. ბავშვს არ აქვს ისეთი საქმიანობების შესრულების მოტივაცია, რაც არ გამოსდის. ამიტომ სწორად შერჩეული სწავლების მეთოდებთან ერთად, უმნიშვნელოვანესია, მშობლისა და მასწავლებლის მხარდაჭერა. მშობლის, მასწავლებლის და შესაბამისი სპეციალისტის შეთანხმებული, თანმიმდევრული დახმარებით აუცილებლად მიიღწევა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

www.geopsychology.org

სპორტი

ახალი პროექტის ახალი სიცოცხლე

ჩვენ უკვე ვწერდით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი სასკოლო პროექტის შესახებ, რომელშიც საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციაც აქტიურადაა ჩართული. მოკლედ შეგახსენებთ, რომ ის, საჯარო თუ კერძო სკოლებში დღეს არსებული, სპორტის გაკვეთილების მოდელის რეორგანიზაციას ითვალისწინებს. ჯანმრთელი თაობის აღზრდაში სპორტის გაკვეთილებმა კიდევ უფრო დიდი როლი უნდა შეასრულოს და მოსწავლეებს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ინტერესი გაუღვივოს. ამასთან, პრაქტიკულთან ერთად, თეორიული მხარეცაა გათვალისწინებული – ოლიმპიზმი, მისი ისტორია, არსი და სხვ.

ახალი პროექტის ერთ-ერთი ქვაკუთხედია სკოლების დამოუკიდებლობა, მათ თავად უნდა განსაზღვრონ პრიორიტეტები. პროექტის მიხედვით, სკოლები ადგენენ სპორტის გაკვეთილების კალენდარს, სადაც გაკვეთილები მთელი თვის განმავლობაში ტარდება ერთ სახეობაში, შემდეგ – სხვაში, იმის მიხედვით, ვინ რას ირჩევს. პროექტის ფარგლებში 18 საპილოტე სკოლა შეირჩა. პირველ ეტაპზე, გადამზადდნენ პედაგოგები, ამის შემდეგ დაიწყო მისი პრაქტიკული განხორციელება.

სწორედ პრაქტიკული განხორციელების კუთხით, ერთ-ერთი პირველი თბილისის 23-ე საჯარო სკოლა აღმოჩნდა, რომელმაც უკვე ჩაატარა კალენდრით გათვალისწინებული შეჯიბრებები მინი-ფეხბურთში, თუმცა უფრო მეტი აქტივობებისთვის (რათა გაეზარდა სპორტით დაინტერესებულ მოზარდთა რაოდენობა), მას კალათბურთიც დაამატა. ამასთან, სკოლაში შეიქმნა სპორტული კლუბი, რასაც ასევე ითვალისწინებს ზემოაღნიშნული პროექტი, რომელიც გახდა ამ შეჯიბრებების ორგანიზატორი. როგორც კლუბის ხელმძღვანელმა, **ხატია ხატიაშვილმა** გვითხრა, ამ იდეამ დიდი მოწონება დაიმსახურა და მოზარდები სიამოვნებით ჩაებნენ შეჯიბრებებში, ხოლო სპორტის გაკვეთილები ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სასურველი გახდა სკოლაში.

ასპარეზობები VII კლასის მოსწავლეებში გაიმართა, სკოლას კი ამ ასაკის 6 პარალელური კლასი ჰყავს. შეჯიბრებებში 159 მოსწავლე ჩაება – 80 ბიჭი და 79 გოგონა. ზოგადად, სკოლაში ცდილობენ, რომ გოგონებიც აქტიურად ჩააბან სპორტში, თორემ ბიჭებს საამისოდ დიდი პროპაგანდა არც სჭირდებათ. ამიტომ გოგონების გუნდები კალათბურთში ხომ გამოიყვანეს, ფეხბურთში შერეული გუნდი გაიყვანა ერთმა კლასმა. ახლო მომავალში, თავისუფალი გაკვეთილების ხარჯზე, განზრახულია, გოგონებში ცალკე ჩემპიონატის გამართვა ფრენბურთში. ამასთან, გოგონებისგან ჩამოაყალიბეს ქომაგთა გუნდი, რომელშიც 18 მოსწავლე გაერთიანდა, ისინი მუსიკალური ნომრებით აფორმებდნენ შეჯიბრებებს, ცეკვები თავად დადგეს, ადგილობრივი პედაგოგის დახმარებით. ამ ყველაფერმა ტურნირს შოუს ელემენტები შესძინა. საკმაოდ დიდი იყო თავად მონაწილე გუნდების ოდენობაც. კალათბურთში ერთ კლასს რომ გაეყვანა ორი გუნდი, არაა გასაკვირი, მაგრამ ფეხბურთშიც 12 გუნდი მონაწილეობდა.

ყველაზე სპორტული კლასი VII^{ა} აღმოჩნდა, რომელმაც სპორტის ორივე სახეობაში გაიმარჯვა. კალათბურთის ფინალში მათ VII^{ვ} კლასს მოუგეს, ფეხბურთში – VII^{ა}-ს, თუმცა როგორც ხატიაშვილმა გვითხრა, ბავშვებმა ამ შეჯიბრებებით იმდენად ისიამოვნეს, მოგებულ-წაგებული პირობითი მცნებაა – საბოლოოდ ყველა კმაყოფილი, ანუ მოგებული დარჩა.

ამ ტურნირების გარდა, თეორიაშიც ჩატარდა შეჯიბრება ოლიმპიზმის თემაზე: ისტორია, თანამედროვეობა, სიმბოლიკა, ჩატარების ვადები და სხვ. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ოლიმპიზმის შესახებ ზოგადად უნდა იცოდეს მოზარდმა. ამჯერად ოლიმპიური ჩემპიონები არ მიუწვევიათ, რასაც ასევე ითვალისწინებს პროექტი, თუმცა, სამომავლოდ მათაც მიიწვევენ.

ორიოდ დღეში სამინისტროში საპილოტე სკოლების შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართება, სადაც განიხილავენ პროექტის ყველა დადებითსა თუ არყოფით მხარეს, იმსჯელებენ მის ავ-კარგზე და იმაზე, რაა გამოსასწორებელი და რისი გაკეთება შეიძლება უკეთ.

პატარებმა ყველას დაასწრეს

ახალ სპორტულ სეზონში ყველაზე ადრე მოჭიდავე ჭაბუკები ჩაებნენ, რომლებმაც უკვე მოასწრეს ასპარეზობა ხარკოვსა და ბაქოში. თავისუფალი სტილით მოჭიდავეები მწვრთნელმა, **გია კვინიკაძემ** ორად დაყო: შარშანდელი შედეგებიდან გამომდინარე, გუნდის ლიდერები ხარკოვში წაიყვანა, სათადარიგოები კი ბაქოში გაუშვა. გასაკვირიც არაა, მისი შეგირდებიდან უკეთესი შედეგი ხარკოვში წასულმა გუნდმა თუ აჩვენა. იქ სულ 18 სპორტსმენი გვყავდა და ზუსტად ნახევარმა – 9-მ მედალი მოიპოვა: 4-4 ოქრო-ბრინჯაო და 1 ვერცხლი. ჩემპიონები **გიორგი გეგელაშვილი** (51), **ბაგრატ გაგნიძე** (71), **გიორგი ჩანქსელიანი** (80) და **სოლომონ მანაშვილი** (110) გახდნენ. კვინიკაძის შეგირდებს მეხუთე ოქროს მოპოვებაც შეეძლოთ, რადგან ფინალში **ლუკა ჩხიტუნიძეც** (51) გავიდა, თუმცა დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

მესამე ადგილზე **ჯონი ცხადაია** (45), **შამილ გაჯიევი** (48), **დავით აბდალაძე** (55) და **ლუკა მარიამიძე** (71) გავიდნენ. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა. ბაქოში ჩვენებმა ორი ბრინჯაო მოიპოვეს: **გიორგი ნებუნიშვილმა** (80) და **გიორგი არღვლიანმა** (110).

თუმცა, აქ ბაქოს ტურნირის სპეციფიკაზეც უნდა ვთქვათ: ორივე სტილში 5-5 წონაში ტარდებოდა, ანუ 5 „თავისუფლებს“ ეთმობოდათ და ამდენივე – ბერძენ-რომაელებს, თორემ თითოეულ სტილში 10 წონაში რომ გამართულიყო, დიდი ალბათობით, შედეგიც უკეთესი გვექნებოდა.

ბერძენ-რომაელმა ჭაბუკებმა მხოლოდ ბაქოში იჭიდავეს, სადაც **ხვიჩა ქორიძის** შეგირდებმა ხუთიდან სამ წონაში მოიპოვეს მედალი და მათაც სამივე – ბრინჯაოსი. ისაევის მემორიალის წლევანდელი მესამე პრიზიორები გახდნენ: **ნუკრი ბერიძე** (51), **გიორგი ჩხიკვაძე** (60) და **გიორგი შპეტიშვილი** (71).

„განვითარების თასზე“ ვითარდებიან

საქართველოს 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრები, ამ დღეებში, მინსკში გამოდის ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირში „განვითარების თასი“. **გიორგი ნემსაძის** შეგირდებმა უკვე პირველი პაექრობაც გამართეს და დაძაბულ ბრძოლაში 3:2 დაამარცხეს ყაზახეთის ნაკრები. ჩვენებმა შემტევ სტილში, მაღალ ტემპში ჩაატარეს შეხვედრა და უკვე მე-4 წუთზე პენალტი მოინადავლეს, რომელიც **ზურაბ დავითაშვილმა** შეასრულა ზუსტად. თუმცა, პირველი ტაიმის შუაწელში, ჩვენებმა ორი იდენტური გოლი გაუშვეს საჰაერო დუელში დაშვებული შეცდომებისას და 1:2 ჩამოვრჩით. მეორე ტაიმში ჩვენებმა კიდევ უფრო გაზარდეს ტემპი, არც შემტევ სტილს უღალატეს და ანგარიში ჯერ **ცოტნე კაპანაძემ** გაათანაბრა, ხოლო შემდეგ მისი გადაცემით **გიორგი გულიაშვილმა** გამარჯვება მოგვიტანა.

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდისთვის ემზადება, რომელიც გაზაფხულზე გაიმართება.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

11 ლარი

სასწავლო პროექტები
წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.

ქართული I-VI კლასები
წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩაატარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



პროფესიული უნარები
დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული

4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გეგმის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing
ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.



თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის" სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ლ

„ინტელექტი" და არტანუჯი" გთავაზობთ

გავიმეოროთ მათემატიკა

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. იგი ძირითად სახელმძღვანელოებში მოცემულ მასალაზეა აგებული, თუმცა შევსებულია ამოცანებით. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგათობების და სტატისტიკის საკითხები.
19 ლარი
(ერთი ცალი)

15 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია

გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

ეროვნული გამოცდების სრული სტანდარტის დაცვით შედგენილი ტესტები აბიტურიენტს საშუალებას აძლევს, გამოცდაზე გასვლამდე, გაიაროს ეროვნული გამოცდების სიმულაცია, ანუ შეძლოს ზუსტად იმ ტიპისა და სირთულის დავალებების შესრულება, როგორიც ეროვნულ გამოცდებზეა.
სახელმძღვანელოში განთავსებულია ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი უნიკალური რუკები, კონკრეტული ისტორიული ეპოქის გასააზრებლად.



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის

10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის

წიგნი I
V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი



10 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია



6 ლარი

ბიოლოგია
ეროვნული გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე,
ქ. მაღრაძე, ღ. ნაზირიშვილი



9 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. მურღულია

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება",
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი",
ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება"
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X

9 772233 386008 >

ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

CMYK